

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა  
ასოციაცია

საქართველოს გარემოს დაცვისა და  
გუნდებრივი რესურსების დაცვის  
სამინისტროს გეოლოგიის დეპარტამენტი

## ანგარიში

# გეოლოგიის სფეროში ღირებულების სისტემის კვლევის შესახებ

პროექტი ხორციელდება  
IRIS Centre-ის და USAID-ის მხარდაჭერით

თბილისი  
2004

## შინაარსი

შესავალი.....	3
0სტორიული მიმოხილვა.....	7
გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზირება „გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზიების გაცემის შესახებ“ კანონის მიზანები .....	7
საქართველოს კანონი სამეცნარებო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ .....	8
საქართველოს კანონი წიაღის შესახებ.....	10
გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზირება .....	15
სალიცენზიონ პირებები .....	16
სალიცენზიონ მოსაკრებლების გადახდის წესი .....	18
ლიცენზიის გაცემის წესი .....	18
ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის საფუძლები .....	28
გეოლოგიის დეარტამენტის მიერ აჭარის აპტონომიური ონსაზღვირის შესაბამის დეპარტამენტისთვის გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზიის გაცემის უფლებამოსილების გადაცემა .....	28
სალიცენზიონ მოწოდების დაკარგვა ან დაზიანება .....	29
ლიცენზიის მოქმედების შეჩრება და განახლება .....	30
ლიცენზიის გაუქმება .....	31
სტატისტიკური მონაცემების ანალიზი .....	33
კონტროლის სისტემა .....	35
სალიცენზიონ პირებების შესრულებაზე კონტროლი .....	35
კონტროლის სისტემაზე არსებული პრობლემა .....	37
გეოლოგიური სამუშაოების კონტროლის მიმღებულებაზე კონტროლის განხორციელებისას მეწარმეთა და კონტროლის განხორციელებაზე უფლებამოსილ პირთა უფლება-მოვალეობები .....	39
ბასაჩივრების წესი .....	42
სამინისტროში ბასაჩივრება .....	42
სასამართლოში ბასაჩივრება .....	43
სალიცენზიონ რეესტრი .....	44
სალიცენზიონ რეესტრი და ინფორმაციის მიღების წესი .....	44
ინფორმაციის მოთხოვნის ვორმა .....	46
ინფორმაციის გაცემა ან უარის თქმა მასზე .....	46
ლიცენზიის მფლობელი საჯაროების რეორგანიზაცია .....	47
პასუხისმგებლება .....	48
მედარმეთა გამოკითხვის მირითადი შედებები .....	50
წარმოჩენილი კრობლებები და გადაჭრის გზები .....	51
რეზიუმე .....	54

## შესაგალი

ლიცენზია/ნებართვა წარმოადგენს დამატებით ადმინისტრაციულ ბარიერს, რომლის საშუალებითაც სახელმწიფო არეგულირებს სამეწარმეო სექტორს, აწესებს საქმიანობის განსახოციელებლად დამატებით პირობებსა და მოთხოვნებს. დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ ლიცენზიის/ნებართვის შემოღება გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფოს ამა თუ იმ სფეროს ან საქმიანობის სახეზე გააჩნია განსაკუთრებული მიღებობა და დამოკიდებულება. სახელმწიფოსათვის სალიცენზიონ და სანებართვო სფეროები ანდა სახეობები ერთგვარად პრიორიტეტულია. ლიცენზიის ანდა ნებართვის დაწესების მირითადი მიზანია, რომ სახელმწიფოს გარკვეულწილად კონტროლქვეშ ჰყავდეს შესაბამისი სალიცენზიონ ანდა სანებართვო სფეროები/სახეობები, „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ კანონის შესაბამისად შეამოწმოს მეწარმე სუბიექტების საქმიანობა სალიცენზიონ/სანებართვო პირობების შესრულებაზე, დარღვევის შემთხვევაში შეაჩეროს ლიცენზიის/ნებართვის მოქმედება ხოლო დარღვეული პირობების გამოუსწორებლობის შემთხვევაში გააუქმოს იგი. ლიცენზიის/ნებართვის სისტემის აღწერისას აუცილებელია აღინიშნოს, რომ:

- ✓ სამიანობის ლიცენზიონისა იმთავითვე არ გულისხმობს ამ სამიანობიდან გამომდინარე შედეგების ხარისხიანობას.

1990-2002 წლებში არ არსებობდა ლიცენზიებისა და ნებართვების რეგულირების ერთიანი საკანონმდებლო სისტემა, ლიცენზიის/ნებართვის გაცემა ხორციელდებოდა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე, რაც გაურკვევლობას უქმნიდა მეწარმეებს და ქმნიდა ნოენი ნიადაგს კორუფციისთვის.

არსებული ქაოსური სიტუაცია დაარეგულირა და სისტემაში მოყვანა „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიის და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ კანონმა. (შემდეგში საფუძვლების შესახებ კანონი), რომელმაც განსაზღვრა ლიცენზიონების საქმიანობის სახეები და ლიცენზიის/ნებართვის გაცემის უფლების მქონე ადმინისტრაციული ორგანოები, დაადგინა ლიცენზიის/ნებართვის გაცემის, მასში ცვლილების შეტანის, მოქმედების შეჩერებისა და განახლების და გაუქმების წესები. ჩამოაყალიბა ის ძირითადი პრინციპები, რომლებსაც უნდა ეფუძნებოდეს სხვადასხვა სფეროში ლიცენზიის/ნებართვის გაცემის მარეგულირებელი კანონები. ეს პრინციპებია:

- კანონის წინაშე მხარეთა თანასწორობა;
- ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, მისი საცხოვრებელი და კულტურული გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დაცვა;
- მეწარმეთა ინტერესების დაცვა;
- სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა;
- მომსარებელთა უფლებების და ინტერესების დაცვა;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა.

საფუძვლების შესახებ კანონთან შესაბამისობაში მოვიდა ყველა სხვა კანონი, რომელიც არეგულირებდა ამა თუ იმ სფეროს ლიცენზიონების

საკითხს – სალიცენზიო/სანებართვო სისტემა მთლიანად დაემორჩილა აღნიშნულ კანონს.

მკაცრ საკანონმდებლო სივრცეში მოქცევის მიუხედავად, ზოგადად ლიცენზიორებისა და ნებართვების სისტემაში არსებობს საკმაოდ რთული პირობები, რომლის დაუკმაყოფილებლობა ყველა სუბიექტს არ შეუძლია.

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ მეწარმეთა ერთი ნაწილი არ არის ინფორმირებული ლიცენზიის/ნებართვის აღების აუცილებლობის შესახებ, ხოლო მეორე ნაწილისთვის ლიცენზიის/ნებართვის აღების პროცესი ბუნდოვან ადმინისტრაციულ ბარიერს წარმოადგენს.

„სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ კანონით ერთ-ერთ სალიცენზიო სფეროა გეოლოგიური საქმიანობა, რითაც სახელმწიფომ ჩათვალა, რომ ეს დარგი განსაკუთრებულ რეგულირებასა და კონტროლს საჭიროებს.

გეოლოგია არის დედამიწის ქერქის, შედგენილობის, აგებულებისა და მოძრაობის, განვითარების სისტემისა და მასში სასარგებლო წიაღისეულის განლაგების შემსწავლელი მეცნიერება, ხოლო გეოლოგიური საქმიანობა კი „გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ“ კანონის მიხედვით გეოლოგიის სფეროში სამეწარმეო საქმიანობის მიზნით განხორციელებული შემდეგი საქმიანობები:

- რეგიონული გეოლოგიური;
- გეოლოგიურ-აგეგმვითი;
- გეოფიზიკური;
- გეოქიმიური;
- პიდროგეოლოგიური;
- საინჟინრო-გეოლოგიური;
- გეოეკოლოგიური;
- ლითოლოგიური;
- ვულკანოლოგიური;
- სტრატიგრაფიული;
- პალეოტოლოგიური;
- ტექტონიკური;
- მეტალოგენური;
- მინერალოგიური გეომორფოლოგიური საქმიანობა;
- აერო და კოსმო მასალების გეოლოგიური დეშიფრირება;
- ყველა სახის სასარგებლი წიაღისეულის საბადოების ძებნა-ძიებაზე ორიენტირებული საქმიანობა.

წიაღი სახელმწიფო საკუთრებაა და ინფორმაცია, რომელიც მისი გეოლოგიური შესწავლის შედეგად გამოვლინდება სახელმწიფო ინტერესს ექვემდებარება. ეს არ არის სადაო საკითხი, რამდენადაც სახელმწიფო უფლებამოსილია და მეტიც, ვალდებულია იცოდეს რა სიმდიდრეს ფლობს. ზემოთ ხსენებული ინფორმაციის სახელმწიფო საინფორმაციო ფონდებში გადაცემას ითვალისწინებს „წიაღის შესახებ“ კანონი, მაშინ რა საჭიროა ამ სფეროს ლიცენზირება? შეიძლება ვიფიქროთ რომ ეს ხდება ინფორმაციის

კომპეტენტურობის უზრუნველსაყოფად. ფაქტი, რომ გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზიის მატიებელ საწარმოს გააჩნია საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო ტექნიკური საშუალება და ჰყავს კვალიფიციური სპეციალისტი, ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს ინფორმაციის კომპეტენტურობას, რამდენადაც ამ ტექნიკურ საშუალებათა მიზანმიმართული და ეფექტური გამოყენება დაფუძნებულია ორგანიზაციის მენეჯმენტზე და მის მონიტორინგის სარისხიანად აწარმოოს გეოლოგიური სამუშაოები. შესაბამისად

- ✓ გეოლოგიური სამიანობის ლიცენზია ვერ უზრუნველყოფს გეოლოგიური ინფორმაციის კომპეტენტურობასა და ხარისხიანობას.

გეოლოგიური საქმიანობის სახეები დაჯგუფებული იქნა შემდეგ სალიცენზიონუროებად:

- რეგიონული გეოლოგიური სამუშაოები და გეოლოგიური აგეგმვა – გეოლოგიურ კვლევათა კომპლექსი, რომელიც მიზნად ისახავს გეოლოგიური რუქის შედგენას და აგეგმილ ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის არსებობის პროგნოზირებას.
- ლითონური სასარგებლო წიაღისეულის საბადოების ძებნა-ძიება<sup>1</sup> – ჯერ აღმოუჩენელი ლითონური სასარგებლო წიაღისეულის საბადოების ძებნა და აღმოჩენილი საბადოების შესწავლა.
- არალითონური სასარგებლო წიაღისეულის საბადოების ძებნა-ძიება – ჯერ აღმოუჩენელი არალითონური სასარგებლო წიაღისეულის საბადოების ძებნა და აღმოჩენილი საბადოების შესწავლა.
- მყარი საწვავი წიაღისეულის საბადოების ძებნა-ძიება – ჯერ აღმოუჩენელი მყარი საწვავი წიაღისეულის საბადოების ძებნა და აღმოჩენილი საბადოების შესწავლა.
- პიდროგეოლოგიური სამუშაოები – მიწისქვეშა წყლების ძებნა-ძიებისა და შესწავლის სამუშაოები.
- საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები – სამუშოები, რომელიც მიმართულია მშენებლობის გეოლოგიური პირობების საკვლევად.
- გეოფიზიკური სამუშაოები – დედამიწის ფიზიკური თვისებებისა და მასში მიმდინარე ფიზიკური პროცესების შესასწავლი სამუშაოები.
- გეოქიმიური სამუშაოები – დედამიწის ქიმიური შედგენილობისა და მასზე ქიმიური ელემენტების გავრცელება-განაწილების, შეერთებისა და გადაადგილებების შესასწავლი სამუშაოები.
- გეოექოლოგიური სამუშაოები – წიაღის ეკოლოგიურ დაცვაზე მიმართული საქმიანობა.

<sup>1</sup> ძებნა გულისხმობს ჯერ აღმოუჩენელი სასარგებლო წიაღისეულის საბადოების ძებნას, ხოლო ძიება – აღმოჩენილი სასარგებლო წიაღისეულის საბადოს შესწავლას.

გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზირებას არ გააჩნია დიდი ხნის ისტორია. კანონი „გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ“ რომელმაც გეოლოგიური საქმიანობა დაუქვემდებარა ლიცენზირებას, მიღებულ იქნა 2003 წლის 8 ივნისს. მანამდე „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ კანონი ითვალისწინებდა გეოლოგიური საქმიანობის მხოლოდ საგალდებულო შეტყობინებას.

**გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზირების სისტემა რეგულირდება შემდეგი ნორმატიული აქტებით:**

დასახელება	დოკუმენტის სახე	მიღების თარიღი
გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ	კანონი	08.05.2003
სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ წიაღის შესახებ	კანონი	14.05.2002
სალიცენზიონ და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ	კანონი	17.05.1996
საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სამთავრობო დაწესებულების სისტემაში ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებებისთვის ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის უფლებამოსიერი უფლებამოსილების გადაცემის შესახებ	საქართველოს პრეზიდენტის №472 ბრძანებულება	29.09.2003

## 0სტორიული მიმოხილვა

### ბეოლოგირი საქმიანობის ლიცენზირება „ბეოლოგიური საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ“ კანონის მიზანამდე

„გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ“ კანონის ამოქმედებამდე ზოგიერთი სახის გეოლოგიურ საქმიანობაზე, კერძოდ საინჟინრო გეოლოგიურ და პიდროგეოლოგიურ საქმიანობებზე ლიცენზიას გასცემდა საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო „საპროექტო სამშენებლო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ კანონის მიხედვით, რომელიც მიღებულ იქნა 1999 წლის 9 სექტემბერს. კანონში მოცემული ერთ-ერთი სალიცენზიონ სახეობა, კერძოდ „საინჟინრო საძიებო სამუშაოები“ ითვალისწინებდა ქვესახეობათა ჩამონათვალს, რომელშიც შედიოდა საინჟინრო გეოლოგიური და პიდროგეოლოგიური სამუშაოები.

აღსანიშნავია, რომ არც ერთი კანონმდებარე ნორმატიული აქტი ან დებულება არ არეგულირებდა ამ ძველადგენერაციებს, ისინი განისაზღვრებოდა სამშენებლო ნორმებისა და წარმატების (ე.წ. СНИП-ები) მიხედვით.

✓ სალიცენზიონ მოსაპრეპარაციული საინჟინრო-ბეოლოგიური სამუშაოების ლიცენზიისთვის შეადგენდა 100 ლარს

„გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ“ კანონის ამოქმედების შედეგად:

- გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზიის გაცემის საქმის მწარმოებელმა ყველა სამთავრობო დაწესებულებამ ამ კანონის მიღებიდან დაკარგა ლიცენზიის გაცემის უფლება და ვალდებული შეიქნა ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარდგენილი მასალები ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით გადაუგზავნოს გეოლოგიის დეპარტამენტს.
- საინჟინრო-გეოლოგიური და პიდროგეოლოგიური სამუშაოების წარმოებაზე გაცემული ყველა ლიცენზია დაექვემდებარა გეოლოგიის დეპარტამენტში უწყებრივ სალიცენზიონ რეესტრში რეგისტრაციასა და ამ კანონით განსაზღვრულ სალიცენზიონ რეეიმთან შესაბამისობაში მოყვანას.
- 2003 წლის 20 ივნისამდე საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით ვალდებული გახდა გადაეგზავნა დეპარტამენტისთვის საინჟინრო-გეოლოგიური და პიდროგეოლოგიური სამუშაოების სახეობებზე მათ მიერ გაცემული საქმიანობის ლიცენზიის ასლები და სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ კანონის 34-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ყველა მონაცემი უწყებრივ სალიცენზიონ რეესტრში შესატანად.

შედეგად საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრომ გეოლოგიის ლეპარტამენტს გადასცა მონაცემები 76 ლიცენზიის შესახებ, ამათგან უმრავლესობა გადიანია და 14 მათგანს გაუვიდა მოჭმალების ვადა.

## საქართველოს პარონი სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ

1999 წლის 14 მაისს მიღებული „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ კანონი, რომელიც ძალაში შევიდა 1999 წლის 1 ივნისს. ეს კანონი გაუქმდებულ იქნა საფუძვლების შესახებ კანონით.

„სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ კანონი წარმოადგენდა პირველ კანონს, რომელიც არეგულირებდა ლიცენზირებად საქმიანობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავდა ლიცენზის გაცემის, შეჩერების, გაუქმების წესსა და საფუძვლებს, შეიცავდა ლიცენზირებას დაქვემდებარებული საქმიანობების სრულ ჩამონათვალს და სისტემაში მოჰყავდა ლიცენზირების მექანიზმი.

ამ კანონის მიხედვით ლიცენზირებას ექვემდებარებოდა მხოლოდ ისეთი სამეწარმეო საქმიანობა, რომელსაც შეუძლია განსაკუთრებული საფრთხე შეუქმნას ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და სახელმწიფო უსაფრთხოებას ან საჯარო წესრიგს. „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ კანონის მიხედვით გეოლოგიური საქმიანობა არ საჭიროებდა ლიცენზირებას და ექვემდებარებოდა გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტისთვის სავალდებულო შეტყობინებას, რომელსაც განცხადების სახე ქონდა და შეიცავდა შემდეგ ინფორმაციას:

- ✓ ფიზიკური პირისათვის – მონაცემებს საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის, სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის, პროფესიის, საცხოვრებელი ადგილის შესახებ;
- ✓ იურიდიული პირისათვის – მონაცემებს საფირმო სახელწოდების, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის, ადგილსამყოფელის (იურიდიული მისამართი), წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის შესახებ;
- ✓ მითითებას, თუ რომელი სახის სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებს პირი და სად.

მეწარმე ვალდებული იყო საქმიანობის დაწყების თაობაზე შეეტყობინებინა გეოლოგიის დეპარტამენტისთვის დაწყებიდან არა უგვიანეს 15 დღეში.

სახელმწიფო ორგანო კი, თავის მხრივ, ვალდებული იყო შეტყობინების შესახებ განცხადების მიღებიდან 3 დღეში გაეცა შეტყობინების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი.

რეალურად პირი შეტყობინება გეოლოგიის დეპარტამენტს არ მიუღია, შესაბამისად, გეოლოგიური საქმიანობის რეგულირებისა და ადრიცხვის ასეთმა ფორმამ არ გაამართლა, რაც საგარაულოდ დეპარტამენტის ინდენტურებულობამაც გამოიწვია. გარდა ამისა, პრესტიულ საპირო თან დაპატიორებით „წიაღის შესახებ“ პარონის მიხედვით 1996 წლის 17 მაისიდან გეოლოგიური საქმიანობა ექვემდებარება აუცილებელ სახელმწიფო რეისტრაციასა და ადრიცხვას წიაღის შესახებ ინციდენტის მითითან სახელმწიფო ურდები, რომელიც უზრუნველყოფს დეპარტამენტის მიმართ დაწყების შეტყობინების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ისმება პირსა, რა დატვირთვა ჰქონდა ამ შეტყობინებას საერთოდ? გეოლოგიის დეპარტამენტის გამოარტებით „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანისას დეპარტამენტს ზარდებილი ჰქონდა კანონის უზღადებელი დაზღვირებული საქმიანობა უცა დაზღვირებული დაზღვირებული საქმიანობას დამოარჩეოდა დაზღვირებული საქმიანობას, მაგრამ აარღამენტა არ დაუშირდა

მსარი ზემოთ ხსელებულ პანორამოებს იმ არგუმენტით, რომ გეოლოგია თავისი არსით ფარმოადგენს სამეცნიერო და პრა სამეცნიერო სამიანობას, მიუხედავად იმისა, რომ იგი შეიძლება განხორციელდეს სამეცნიერო მიზნითაც. გეოლოგიური სამიანობის შეფყობინების გალენებულება უგრალო პომპონის ფარმოადგენია დაკარტამენტის მხრიდან.

**გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზიის გაცემა გასულ წლებში  
რეგულირდებოდა შემდეგი კანონებით:**

დოკუმენტის სახელი	მიღების თარიღი
საპროექტო სამუნებლო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ	09.09.1999
სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ	14.05.1999

## საქართველოს კანონი ფინანს შესახებ

„წიაღის შესახებ“ კანონი, რომელიც მიღებულ იქნა 1996 წლის 17 მაისს. არეგულირებს წიაღით სარგებლობის პროცესში წარმოშობილ ურთიერთობებს.

ამ კანონის მიხედვით წიაღი არის მიწის ზედაპირის, ნიადაგისა და წყალსატევების ფსკერის ქვეშ და ხმელეთის ზედაპირზე გაშიშვლებული დედამიწის ქერქის ნაწილი, რომელიც თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით მისაწვდომია შესასწავლად და გამოსაყენებლად.

წიაღი წარმოადგენს საქართველოს ეროვნულ სიმძიდრესა და სახელმწიფო საკუთრებას, მას სახელმწიფო იცავს. აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელიც პირდაპირ ან ფარულად ხელყოფს წიაღზე სახელმწიფო საკუთრების უფლებას, ასეთი გარიგება მიიჩნევა ბათილად.

წიაღისეული არის წიაღში არსებული ბუნებრივი წარმონაქმნი. სასარგებლო წიაღისეული წარმოადგენს დაძიებული წიაღისეულს, რომლის მოპოვება და გადამუშავება მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების თანამედროვე დონეზე შესაძლებელი, ეკონომიკურად მიზანშეწონილი და ეკოლოგიურად მისაღებია.

წიაღით სარგებლობა მოიცავს:

- წიაღის შესწავლას;
- სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასა და გადამუშავებას, სამორმომპოვებელ საწარმოთა ნარჩენების გამოყენებას;
- მიწისქვეშა ბუნებრივი სიცარიელების გამოყენებას, აგრეთვე სხვადასხვა დანიშნულების ისეთი მიწისქვეშა ნაგებობების მშენებლობასა და ექსპლუატაციას (მათ შორის ნავთობის, გაზის, წარმოების ნარჩენების შესანახად და ჩამდინარე წყლების ჩასაშვებად), რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან;
- გეოლოგიური, მინერალოგიური, პალეონტოლოგიური კოლექციებისა და სამუზეუმო ექსპონატების შეგროვებას.

კანონი არეგულირებს წიაღით სარგებლობის ისეთ სახეებსაც, რომლებიც არ იწვევენ წიაღის მთლიანობის დარღვევას, ესენია:

- რეგიონალური;
- გეოფიზიკური;
- გეოლოგიური აგეგმვა;
- სამეცნიერო კვლევითი;
- წიაღის საერთო შესწავლა;
- მიწისძვრის პროგნოზირება;
- გულკანური პროცესების კვლევა;
- გარემოს მდგომარეობის მონიტორინგის შექმნა და გაძლილად;
- მიწისქვეშა წყლების რეჟიმის კონტროლი.

წიაღით სარგებლობის ჩამოთვლილი სახეები ეჭვემდებარება აუცილებელ სახელმწიფო რეგისტრაციასა და აღრიცხვას წიაღის შესახებ ინფორმაციის ერთიან სახელმწიფო ფონდში, რომელიც გეოლოგის დეპარატმენტან ფუნქციონირებს.

- ✓ გეოლოგიური სამუშაოების დასრულების შემდეგ გეოლოგიური სამუშაოების განვითარებისა და განვითარების ურგენტულია ზიაღის შესახებ ინფორმაციის მრთიან სახელმწიფო საინფორმაციო ცოდნების ჩააგაროს ანგარიში განვითარებისა და განვითარების სამუშაოს შესახებ გარემოს დაცვისა და განვითარივი რესურსების სამინისტროს მიერ შემუშავებული და დამტკიცებული ფორმის მიხედვით.
  - ✓ ინფორმაცია ზიაღის გეოლოგიური აგეგულების, ზიაღისეულის მარაგებისა და რესურსების, საგადოს გადამუშავების სამთო ტექნიკური პირობების და სხვა თვისებების და აპრამეტრების შესახებ ფარმოადგანს იმ სპეციალურების საკუთრებას, რომელის სახსრებითაც არის მოაღვებული მს ინფორმაცია.
  - ✓ დაუშვებელია სახელმწიფო საფინანსო ურცევები შეტანილი ინფორმაციის გაცემა სხვა ზოზიტშრ ან იურიდიულ პირზე ინფორმაციის მფლობელის თანხმობის გარეშე.
- გეოლოგიის დაარატამენტში ვერ იძნა მოძიებული საფინანსო ურცევების განვითარება, რამდენადაც ასეთი ღრგანო არც დაარატამენტში, არც გარემოსა და განვითარივი რესურსების დაცვის სამინისტროში არ ფარგლებით მომდინარეობს. შესაბამისად პანონის მს ჩანაწერი არ სრულდება.
- ✓ ზიაღით მოსარგებლე შეიძლება იყოს მიწარმე საკუთრების ურამის განვითარებად, მათ შორის სხვა სახელმწიფო იურიდიული და ზოზიტშრი პირი.

სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცება:

შესწავლილი სასრგებლო წიაღისეულის საბადოების, აგრეთვე მათ დამუშავების პროცესში დამატებით გამოვლენილ სასრგებლო წიაღისეულის მარაგებს ამტკიცებს დეპარტამენტთან არსებული მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისო კომისია.

- ✓ მარაგების სახელმწიფო უფლებათა შორისო პომისის დასპვება ფარმოადგანს სასარგებლო ზიაღისეულის მოძიებული გარაგების სახელმწიფო გალაცია აყვანის მრთადორთ საჭუპველს.

წიაღით მოსარგებლე ვალდებულია:

- ისარგებლოს წიაღით მხოლოდ ლიცენზიით განსაზღვრული მიზნებისთვის;
- უზრუნველყოს გარემოსა და წიაღის დაცვა;
- განუხრედად დაიცვას სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოების წესები;
- უზრუნველყოს წიაღით სარგებლობის სამუშაოთა წარმოებისას წიაღის, ატმოსფერული ჰაერის, წყლის, მიწის, ტყის, დაცული ტერიტორიების, ისტორიისა და კულტურის ძეგლების და სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობების მავნე ზემოქმედებისგან დაცვა დადგენილი ნორმების მიხედვით;
- შეისწავლოს წიაღი კომპლექსურად, უზრუნველყოს შესაბამისი გეოლოგიური, სამარკშრეიდერო და სხვა დოკუმენტების წარმოება და შენახვა;

- წარუდგინოს ბუნებრივი რესურსების შესახებ და წიაღის შესახებ ინფორმაციის ერთიან სახელმწიფო ფონდებს ნებისმიერი დოკუმენტაცია დაძიებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგების, მათში არსებული კომპონენტების, აგრეთვე წიაღით სარგებლობის სხვა ობიექტების შესახებ;
- უზრუნველყოს საძიებო სამთო გვირაბებისა და ჭაბურღილების ისეთ მდგომარეობაში შენარჩუნება, რომ შესაძლებელი გახდეს მომავალში მათი გამოყენება, უვარგისი კი გაანადგუროს დადგენილი წესით;
- შეაჩეროს სამუშაოები წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული და ესთეტიკური ფასეულობის ობიექტის აღმოჩენისას და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;
- დაიცვას და საჭიროების შემთხვევაში წიაღით სარგებლობის შედეგად დაზიანებული მიწის ნაკვეთები მოიყვანოს უსაფრთხო და გამოსადეგ მდგომარეობაში;
- შეასრულოს სამინისტროსა და ინსპექციის ინსტრუქციები წიაღის დაცვისა და სამუშაოთა უსაფრთხო წესების შესახებ.

### **წიაღის სახელმწიფო მართვის სისტემა**

საქართველოში მოქმედებს წიაღით სარგებლობის მართვის ერთიანი სახელმწიფო სისტემა, რომლის ამოცანას წარმოადგენს წიაღის კომპლექსური და რაციონალური გამოყენება, წიაღისა და გარემოს დაცვა, აგრეთვე წიაღით სარგებლობის პროცესში წარმოშობილი ურთიერთობების რეგულირება, სასარგებლო წიაღისეულის ბაზის შექმნა, წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების სფეროში სტანდარტებისა და ნორმების დადგენა და მათი შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

წიაღის სახელმწიფო მართვას ახორციელებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო მის სისტემაში შემავალ სხვა ერთეულებთან – გეოლოგიის დეპარტამენტთან და ინსპექციასთან ერთად.

- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის სამინისტრო ვალდებულობა ინსპექციასთან ერთად კონტროლი და ზედამზედველობა განახორციელოს წიაღით სარგებლობაზე;
- გეოლოგიის დეპარტამენტი ვალდებულია უზრუნველყოს სამინისტროსთან ერთად სახელმწიფო კონტროლის განხორციელება გეოლოგიური სამუშაოების მიმდინარეობაზე.

გეოლოგიის დეპარტამენტი ვალდებულია:

- შეიმუშავოს გეოლოგიური სამუშაოების მართვის პროგრამები საქართველოს მინერალური ნედლეულის ბაზის განმტკიცებისთვის;
- უზრუნველყოს გეოლოგიური საძიებო სამუშაოების დაგეგმვა, წარმოება, მონერალური ნედლეულის ბაზის განმტკიცება, სპეციალური კვლევების ჩატარება სახელმწიფო საჭიროებისათვის;

- უზრუნველყოს ძირითადი და თანამდევი სასარგებლო წიაღისეულის მარაგების გამოთვლის ანგარიშის სახელმწიფო ექსპერტიზის ჩატარება, მათი დამტკიცება და დამტკიცებული მარაგების სახელმწიფო აღრიცხვაზე აყვანა;
- უზრუნველყოს სახელმწიფო საინფორმაციო ფონდებში შეტანილი ინფორმაციის მესაკუთრის უფლებების დაცვა;
- უზრუნველყოს სამინისტროსთან ერთად სახელმწიფო კონტროლის განხორციელება გეოლოგიური სამუშაოების მიმდინარეობაზე;
- უზრუნველყოს მინერალური ნედლეულის ბაზის აღწარმოება და წიაღის ისეთი უბნების რეზერვის შექმნა, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს წიაღის მოპოვებისგან განსხვავებული მიზნებისათვის.

### **წიაღით სარგებლობის უსაფრთხოების მოთხოვნები**

ნებადართულია წიაღით სარგებლობა მხოლოდ მოსახლეობის, განსაკუთრებით დასაქმებულ მუშაკთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის უზრუნველყოფის პირობით.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო და წიაღით მოსარგებლენი ვალდებული არიან უზრუნველყონ წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების შესახებ კანონმდებლობისა და დადგენილი წესით დამტკიცებული სტანდარტების (ნორმების, წესების) მოთხოვნათა შესრულება.

წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა უსაფრთხო წარმოებაზე უშუალო პასუხისმგებლობა ეკისრებათ წიაღის ათვისებაზე მომუშავე საწარმოებს იმის განურჩევლად ლიცენზიის მფლობელია იგი თუ სახელმწიფო ორგანო, რომელიც აწარმოებს წიაღით სარგებლობას სახელმწიფო ინტერესისთვის.

წიაღით სარგებლობის უსაფრთხოების მოთხოვნებია:

- სამუშაოზე მხოლოდ შესაბამისი სპეციალური მომზადებისა და კვალიფიკაციის მქონე მუშაკების დაშვება;
- ისეთი მეთოდების, მასალების, ტექნოლოგიური და ტექნიკური საშუალებების გამოყენება, რომლებიც აკმაყოფილებენ უსაფრთხოების დადგენილ წესებს;
- სამუშაოთა ნორმალური ტექნოლოგიური ციკლისა და საშიში სიტუაციების პროგნოზირებისათვის აუცილებელი გეოლოგიური, სამარკშერეიდერო და საშიში სიტუაციების პროგნოზირებისთვის სხვა დაკვირვებათა ჩატარება;
- წიაღით სარგებლობისას გარემოს ყველა სახის მავნე ზემოქმედების თავიდან ასაცილებელი და დასაშვებ ნორმამდე შემამცირებელი ღონისძიებების დამუშავება და გატარება;
- საშიში და ავარიული სიტუაციების თავიდან აცილებისა და ლიკიდაციის გეგმების შედგენა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება;

- მუშაკთა მიერ სამუშაოთა უსაფრთხოების წესების შესწავლა და შესრულება, აგრეთვე ავარიების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებათა დაგეგმვა და განხორციელება;
- სამუშაოთა შეჩერება მუშაკთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნის შემთხვევაში, ადამიანების გამოყვანა უსაფრთხო ადგილზე და საფრთხის ლიკვიდაციისთვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელება;
- სამუშაოთა წარმოებისას მხოლოდ ისეთი მანქანების, მოწყობილობებისა და მასალების გამოყენება, რომლებიც აკმაყოფილებენ უსაფრთხოების წესებს, ნორმებს, მოთხოვნებს;
- ფეთქებად ნივთიერებათა და ასაფეთქებელ საშუალებათა აღრიცხვა, სათანადო შენახვა და ხარჯვა, აგრეთვე უსაფრთხო და სწორი გამოყენება;
- უსაფრთხოების წესებით გათვალისწინებული ტექნიკური დოკუმენტაციის დროულად შევსება მონაცემებით, რომლებიც ასახავენ სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების საზღვრებსა და ავარიის ლიკვიდაციის ზომებს.

წიაღით მოსარგებლის მიერ უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვის უზრუნველყოფისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ სათანადო საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, ისინი განსაზღვრავენ იმ პირთა წრეს, რომლებიც კონტროლს გაუწევენ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სტრუქტურულ ქვედანაყოფებში უსაფრთხოების აღნიშნული წესების დაცვას.

- ✓ წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა ხელმძღვანელები, სხვა მათთვის უფლებამოსილი თანამდებობის პირები, მუშაკთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის უშპალტ საზოგადოების შემთხვევაში გადამოწმენი არიან დაუყოვნებლივ შეაჩვროვნენ სამუშაოები და უზრუნველყონ მომუშავეთა მგამუნა.

თუ საფრთხე ემუქრება მოსახლეობას წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა გავლენის სფეროში, შესაბამისი წიაღით მოსარგებლე სუბიექტები ვალდებული არიან შეატყობინონ ამის შესახებ სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს და შესაძლებლობის ფარგლებში მონაწილეობა მიიღონ ავარიის ლიკვიდაციაში.

„წიაღის შესახებ“ კანონში მოცემულია, რომ წიაღით სარგებლობისთვის იმუშავდება:

- წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოები;
- საინჟინრო-გეოლოგიური შესწავლის სამუშაოები (ზოგადი ძებნის სამუშაოების ჩათვლით);
- სასარგებლო წიაღისეულის საბადოების ძებნა-ძიების სამუშაოები;
- წინასწარი დეტალური ძიების სამუშაოები.

ზემოთ ხსენებულ დაბებირას არ ითვალისწინებს საბაზასახადო კოდექსი და დღეს მოქმედი არც ერთი სხვა კანონი, „წიაღის შესახებ“ კანონი გადადა. მა მუხლი სრულიად უსაფუძლოა და ეჭირააღმდებება „საბაზასახადო კოდექსს“, შესაბამისად შეუძლებელია მისი შესრულებაში მოყვანა.

უდაგოა, რომ „წიაღის შესახებ“ კანონი მოგენერიზებულია და საჭიროებს გადასინჯვას.

## გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზირება

„გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ” კანონი რომელიც მიღებულ იქნა 2003 წლის 8 მაისს, აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზირებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, ადგენს ლიცენზიის გაცემის, მისი მოქმედების შეჩერების, განახლებისა და გაუქმების წესს. “გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ” კანონი ძალაში შევიდა 2003 წლის 1 ივნისს.

- ✓ გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზია არის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ადმინისტრაციული აქტით პირისთვის მინიჭებული უფლება, რომლის საფუძვლით მიწარმავს შეძლია განახორციელოს სამედიარამ საქმიანობა გეოლოგიის სფეროში.
- ✓ ლიცენზია გაიცემა მრთველადად და იგი უგადოა.
- ✓ სალიცენზიონო მოწოდებელი მოწოდებელი ლიცენზიის უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს.

### სალიცენზიონო სახეობები და მოსაკრებლები:

სალიცენზიონო სახეობა	სალიცენზიონო მოსაკრებელი
რეგიონული გეოლოგიური სამუშაოები და გეოლოგიური აგეგმვა	160 ლარი
ლითონური სასარგებლო წიაღისეულის საბადოების ძებნა-ძიება	190 ლარი
არალითონური სასარგებლო წიაღისეულის საბადოების ძებნა-ძიება	190 ლარი
მყარი საწვავი წიაღისეულის საბადოების ძებნა-ძიება	190 ლარი
პიდროგეოლოგიური სამუშაოები	190 ლარი
საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები	190 ლარი
გეოფიზიკური სამუშაოები	190 ლარი
გეოქიმიური სამუშაოები	190 ლარი
გეოეკოლოგიური სამუშაოები	190 ლარი

- ✓ დაუზვებელია ლიცენზიის შემოწმება სხვა სახის გეოლოგიურ საქმიანობაზე.
- ✓ ლიცენზიის მართველი უფლება შეიძლია შეიტანოს ბანაცხადი მრთი ან მეტი ლიცენზიის მისაღებად.
- ✓ აკრძალულია ლიცენზიის სხვა პირისთვის ბაზაცემა, გარდა რეორგანიზაციის შემთხვევებისა.
- ✓ ლიცენზია წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე გეოლოგიური საქმიანობის უფლების მრთავერთ დამადასტურებულ დოკუმენტს.

## სალიცენზიონ პირობები

- ✓ გეოლოგიური საქმიანობის სალიცენზიონ პირობები ზარმოაჯენს იმ მოთხოვნების ამომზრაბ ნუსხას, რომლის დაცვაც აუცილებელია ლიცენზის მისაღებად, აბრეტვე წესების, სტანდარტების და მოთხოვნების ურთობლიობას, რომელთა დაცვაც მოეთხოვება ლიცენზის მფლობელს სამეწარმეო ბენდოგიური საქმიანობის ბანკაზე მოცემულ დანართში;
- ✓ სალიცენზიონ პირობები იყოფა ორ ტიპად:

  - 1) ლიცენზის მისაღებად დადგენილი – პირობები განსაზღვრულია მხელოდ კანონით;
  - 2) ლიცენზის მიზანის შემდეგ დასაცავი – ნებისმიერი ნორმატიული აძლი (მინისტრის ბრძანებით, სტანდარტი და პ.შ.), რომელიც მოქმედებს ამ სფეროზე.

ლიცენზის მაძიებელი ლიცენზის მისაღებად დეპარტამენტს წარუდგენს წერილობით განცხადებას, რომელიც უნდა შეიცავდეს:

- იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტი;
- განმცხადებლის ვინაობა და მისამართი, სამეწარმეო რეესტრის მონაცემები – საწარმოს სახელმწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივო ფორმა, იურიდიული მისამართი, ხელმძღვანელი პირი, რეგისტრაციის ნომერი და თარიღი, მარეგისტრირებელი ორგანოს დასახელება;
- რომელი ლიცენზის მიღებას მოითხოვს ლიცენზის მაძიებელი – აქ მიეთითება სალიცენზიონ გეოლოგიური საქმიანობის სახეზე;
- მონაცემებს ლიცენზის მაძიებელ საწარმოში დასაქმებული კვალიფიციური სპეციალისტების შესახებ – დასაქმებული პირების სახელი, გვარი და მონაცემები განათლების შესახებ;
- ინფორმაციას გეოლოგიური საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო ტექნიკურ საშუალებათა ფლობის შესახებ – აქ უნდა მიეთითოს, რომ საწარმო ფლობს აუცილებელ ტექნიკურ საშუალებებს იმ სახის გეოლოგიური საქმიანობის განსახორციელებლად, რომელზეც ითხოვს ლიცენზიას, თუმცა “გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ” კანონი არ ითვალისწინებს აუცილებლ ტექნიკურ საშუალებათა ნუსხას. ეს ტექნიკური საშუალებები შეიძლება იყოს მაძიებლის საკუთრებაში ან ხელშეკრულებით ჰქონდეს მიღებული სარგებლობაში.
- განცხადების წარდგენის თარიღს და განმცხადებლის ხელმოწერას.

განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

- სალიცენზიონ მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი – საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული ქვითარი
- განცხადებაში მითითებული სპეციალისტების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ახლი (დიპლომი, ამონაწერი შრომის წიგნაკიდან). სპეციალისტების კვალიფიკაცია გულისხმობს, რომ მათ უნდა ჰქონდეთ არანაკლებ ორი წლის სამუშაო სტაჟი (ფიზიკური პირის შემთხვევაში იგულისხმება პირადი კვალიფიკაცია).

- წარმომადგენლის მიერ განცხადების შეტანის შემთხვევაში სათანადო რწმუნებულება.

წარმომადგენელი შეიძლება იყოს ნებისმიერი სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირი. წარმომადგენლისთვის ფიზიკური პირის მიერ გაცემული რწმუნებულება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. იურიდიული პირის მიერ რწმუნებულების გაცემის შემთხვევაში არ არის აუცილებელი მისი სანოტარო დამოწმება და საკმარისია იურიდიული პირის სატიტულო ფურცელზე რწმუნებულების განთავსება. რწმუნებულებას იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციის სახელით გასცემს ხელმძღვანელი ან ის პირი, რომელსაც წესდებით ენიჭება ასეთი უფლებამოსილება.

### იმ შემთხვევაში თუ ლიცენზიის მაძიებელი მოითხოვს ლიცენზიას:

- ა) შემდეგი სახის გეოლოგიურ საქმიანობებზე:

- ✓ ლითონური სასარგებლო წიაღისეულის ძებნა-ძიება;
- ✓ არალითონური სასარგებლო წიაღისეულის ძებნა-ძიება;
- ✓ მყარი საწვავი წიაღისეულის საბადოების ძებნა-ძიება;
- ✓ ჰიდროგეოლოგიური სამუშაოები;
- ✓ საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები;
- ✓ გეოფიზიკური სამუშაოები.

ვალდებულია განცხადებას დაურთოს განცხადებაში მითითებული გეოლოგიური საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო ტექნიკურ საშუალებათა ჩამონათვალი.

ამშაბად არ არის ბანსაზღვრული იმ ფენიკშრი საშუალებების ჩამონათვალი, რომელიც საჭიროა აგა თუ იმ სამიანობის ბანსაზღვრის განვითარების განვითარების მიზანი მითითებული ტექნიკური საშუალებების ზემომავალი ხდება საგჭროა პაზირის დროინდელ სტანდარტებთან შესაბამისობის დაზღვით, რომელიც საქართველოში არ მოძრაობს, რაღაც შესრულებულია არა სახელმწიფო, არამედ რუსულ მნახველებს, გარდა ამისა საშუალებების შესახებ კანონი პრებლაშ კანონის მიზანით ამტოთ დაგაფეხითი სალიცენზიონი პირობების შემოწმებას.

- ბ) შემდეგი სახის გეოლოგიური საქმიანობებზე:

- ✓ რეგიონული გეოლოგიური სამუშაოები და გეოლოგიური აგეგმვა,
- ✓ გეოქიმიური სამუშაოები,
- ✓ გეოეკოლოგიური სამუშაოები,

განცხადებაში მითითებულ ტექნიკურ საშუალებათა ჩამონათვალის დართვა არ არის საჭირო.

გეოლოგიის დეპარტამენტის პოზიციით, ფენიკშრ საშუალებათა დამატებითი ჩამონათვალი ზარმოვადგენ დასტურს იმისა, რომ არსებული ტექნიკური საშუალებები მართლაც გააჩნია საჭარმოს და შესაბამისად დეპარტამენტის მოთხოვნით ჩამონათვალი უდეა იმოს დამომავული საჭარმოს გაფილია და დირექტორისა და გულალტრის ხლომოწერით, თუმცა ამას არ ითვალისწინებს „გეოლოგიური სამიანობის ლიცენზიისა და ლიცენზიის გაცემის“ შესახებ კანონი და საშუალებების შესახებ კანონი.

სამეწარმეო რეგისტრში რეგისტრაციის შესახებ მონაცემების ცვლილების ან ლიცენზიის მაძიებელ სუბიექტში დასაქმებული კვალიფიციური სპეციალისტების შესახებ მონაცემების ცვლილების შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ამის თაობაზე წერილობით აცნობოს გეოლოგიის დეპარტამენტს და წარუდგინოს სათანადო დოკუმენტები ცვლილებების

განხორციელებიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში. ზემოთ აღნიშნული ცვლილებების განხორციელება ხდება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით.

## სალიცენზიონ მოსაპოვებლების გადახდის ჭავი

სალიცენზიონ მოსაკრებელი არის ერთჯერადი სავალდებულო გადასახადი საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში, რომელსაც ლიცენზიის მაძიებელი გადაიხდის „სალიცენზიონ და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ კანონით დადგენილი ოდენობით, გეოლოგიური საქმიანობისთვის ლიცენზიის მისაღებად.

საბანკო დაწესებულება პირს სალიცენზიონ მოსაკრებლის გადახდისას აძლევს გადახდის დამადასტურებელ ქვითარს: უნადღო ანგარიშსწორებისას ეს არის საგადასახადო დავალება, ხოლო ნაღდი ანგარიშსწორებისას – სალაროს შემოსავლის ორდერი. მნიშვნელოვანია, თვით ქვითარში მიეთიოს მოსაკრებლის დანიშნულება, კერძოდ “სალიცენზიონ მოსაკრებელი”.

ლიცენზიის მაძიებელი ფიზიკური და იურიდიული პირი ვალდებულია მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი წერილობით განცხადებასთან ერთად წარუდგინოს ლიცენზიის გამცემ ორგანოს.

თუ ლიცენზიის მაძიებელი შემთხვევით გადაიხდის სალიცენზიონ მოსაკრებელზე ზედმეტ თანხას, ეს გამოვლინდება დოკუმენტების დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის დროს. გეოლოგის დეპარტამენტი ვალდებულია ლიცენზიის მაძიებელს დაუყოვნებლივ, უკიდურეს შემთხვევაში ლიცენზიის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე დაუბრუნოს ზედმეტად გადახდილი თანხა.

ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში გადახდილი მოსაკრებელი უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

სალიცენზიონ მოსაკრებელთან დაკავშირებულ დავას წყვეტს სასამართლო. სასამართლოში სარჩელის შეტანა არ ათავისუფლებს ლიცენზიის გამცემს სალიცენზიონ მოსაკრებლის გადახდისგან.

## ლიცენზიის გაცემის ჭავი

ლიცენზია გაიცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით, რომლის დაწყების საფუძველია ლიცენზიის მაძიებლის მიერ შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოში განცხადებისა და მასზე თანდართული საბუთების შეტანა. ლიცენზიის მაძიებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ასევე სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნები, რომლებიც არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს (მაგ., ამხანაგობა).

რამდენიმე პირს ერთობლივად შეუძლია ამხანაგობის ფორმით გაერთიანდნენ და ამხანაგობის სახელით მოითხოვონ ერთი ლიცენზიის მიღება, რისთვისაც ისინი იხდიან ერთად მოსაკრებელს ერთი ლიცენზიის მისაღებად. თუმცა, როდესაც ერთ ლიცენზიას ფლობს ამხანაგობა და მასში გაწევრიანებული

ერთ-ერთი დაარღვევს სალიცენზიო პირობებს, ეს იქნება ლიცენზიის გაუქმების საფუძველი, მათ შორის მაშინაც, როცა სხვა თანამფლობელებს არ დაურღვევით პირობები.

ლიცენზიის გამცემი ორგანო ვალდებულია განცხადება რეგისტრაციაში გაატაროს მიღების დღესვე და დაუსვას მას რეგისტრაციის თარიღი და ნომერი; განმცხადებლის მოთხოვნისას კი, ვალდებულია დაუყოვნებლივ გასცეს ცნობა განცხადების რეგისტრაციაში გატარების შესახებ. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარდგენილი განცხადებისა და მასზე თანდართული მასალების მიღებასა და რეგისტრაციაში გატარებას ახდენს, როგორც წესი, ლიცენზიის გამცემი ორგანოს კანცელარია.

მაძიებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია სამსახურის კანცელარიის მიერ გადაეცემა ლიცენზიის გამცემ სამმართველოს უფროსს, რომელიც თავისი რეზოლუციით გაანაწილებს შემოსულ საკითხს სამმართველოს თანამშრომლებს შორის.

თავდაპირველად, ლიცენზიის გამცემი ორგანო განცხადების რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში ამოწმებს აკმაყოფილებს თუ არა წარმოდგენილი განცხადება და მასზე თანდართული მასალა დადგენილ მოთხოვნებს. მოთხოვნები ლიცენზირების სფეროში დადგენილია მხოლოდ კანონით. ადმინისტრაციული წარმოების ეს საფეხური გულისხმობს იმის შემოწმებას, განცხადება შეესაბამება თუ არა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე და „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის, „გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს; ასევე, უნდა შემოწმდეს განცხადებას ერთვის თუ არა სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამისობის შემოწმებისას არ ხდება წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვა და იგი მოიცავს ძირითადად განცხადების შინაარსის გაცნობასა და თანდართული დოკუმენტების ჩამონათვალის შემოწმებას. შესაბამისობის შემოწმებისას ურადღება ეთმობა შემდეგ გარემოებებს:

1. განცხადება ან მასზე დართული მასალები ხომ არ არის წარმოდგენილი უცხო ენაზე. საქმისწარმოება ლიცენზიის გამცემ ორგანოში მიმდინარეობს სახელმწიფო (ქართულ) ენაზე და ლიცენზიის მაძიებელი ვალდებულია უველა დოკუმენტი წარადგინოს ქართულ ენაზე. თუ რომელიმე დოკუმენტი ან შემდგომ მოთხოვნილი დოკუმენტი ქართულ ენაზე არ არის წარმოდგენილი, ვადა მაძიებლის მიერ დაცულად ითვლება და ლიცენზიის გამცემმა ორგანომ მაძიებელს უნდა განუსაზღვროს ვადა დოკუმენტის თარგმნისა და მისი სანოტარო წესით დადასტურებისათვის, რომელიც არ შეიძლება იყოს 3 დღეზე ნაკლები. სანოტარო წესით დადასტურებული დოკუმენტის წარმოდგენამდე საქმისწარმოების ვადა შეჩერებულად ითვლება;
2. თუ განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ლიცენზიის გაცემა მიეცუთვნება სხვა ორგანოს უფლებამოსილებას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია არა უგვიანეს 5 დღისა გადაუგზნოს განცხადება და მასზე თანდართული საბუთები უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომლის შესახებაც 2 დღის ვადაში

შესაბამისი დასაბუთებით ადმინისტრაციული ორგანო აცნობებს განმცხადებელს;

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებისას გამოვლინდება საქმის სირთულე ანუ შესაძლებელი იქნება თუ არა ერთოვიან ვადაში გადაწყვეტილების მიღება და საჭირო ხომ არ არის ვადის გაგრძელება 3 თვემდე. უნდა აღინიშნოს, რომ 3 თვემდე გაგრძელება არის მაქსიმუმი (რომელიც მოიცავს ერთოვიან ვადასაც) და ვადის გაგრძელებისას ლიცენზიის გამცემმა უნდა იხელმძღვანელოს საქმის სირთულით, სავარაუდოდ რა ვადაში შეძლებს გადაწყვეტილების მიღებას და იგი შეიძლება იყოს თვენახევარი, ორი თვე ან 10 დღით გაგრძელებული და ა.შ. ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული ადმინისტრაციული აქტის (მაგ., ბრძანების) ფორმით, რომლის გამოცემისათვის ცალკე ადმინისტრაციული წარმოება არ იმართება. ადმინისტრაციული აქტი უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, თუ რატომ გახდა აუცილებელი ვადის გაგრძელება და იგი გამოიცემა არა უგვიანეს 7 დღისა განცხადების რეგისტრაციიდან. ვადის გაგრძელების შესახებ ადმინისტრაციული აქტის მიღებიდან არა უგვიანეს მომდევნო დღეს უნდა ეცნობოს მაძიებელს, რომ ვადა გაგრძელებულია და გადაეცეს მას ვადის გაგრძელების შესახებ ადმინისტრაციული აქტის ასლი;
4. თუ დადგენილი დოკუმენტები არ იქნა სრულად წარდგენილი, მაშინ ლიცენზიის გამცემმა ორგანომ უნდა მოსთხოვოს განმცხადებელს წარადგინოს აუცილებელი დოკუმენტები და განუსაზღვროს მათი წარდგენის ვადა, რომელიც არ უნდა იყოს 5 დღეზე ნაკლები. დოკუმენტების წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა უნდა იყოს გონივრული, ე.ო. ლიცენზიის გამცემმა ორგანომ მიახლოებით უნდა გათვალისწინებულ უნდა იქნეს რეალური ვითარება და თუ შესაძლებელია, მოსმენილ იქნეს მაძიებლის პოზიციაც იმის შესახებ, თუ რა ვადაში შეუძლია მას აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენა. მოთხოვნაში კონკრეტულად უნდა მიეთითოს თუ რა დოკუმენტი ან ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს მაძიებელმა, წინააღმდეგ შემთხვევაში მისთვის განსაზღვრული ვადა გასულად არ ითვლება და მისი ათვლა დაიწყება მოთხოვნის დაკონკრეტებისას. თუ ამ ვადაში არ იქნა წარდგენილი დოკუმენტები, ლიცენზიის გამცემ ორგანოს უფლება აქვს (მაგრამ არ არის ვალდებული) განმცხადებლის მოთხოვნით მხოლოდ ერთხელ, არა უმეტეს 15 დღით დამატებით გააგრძელოს დოკუმენტების წარმოდგენის ვადა. დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტების წარუდგენლობა იწვევს ლიცენზიის მოთხოვნის შესახებ განცხადების განუსილველად დატოვებას. დოკუმენტების წარსადგენად განმცხადებლისათვის მიცემული დამატებითი ვადა არ ჩაითვლება საქმისწარმოების საერთო ვადაში, ე.ო. მოცემულ შემთხვევაში საქმისწარმოება შეჩერებულია. ვადის დინება განახლდება შესაბამისი დოკუმენტების წარდგენიდან. განცხადების განუსილველად დატოვებისას განმცხადებელს უფლება აქვს კვლავ მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს ლიცენზიის მისაღებად; ასეთ შემთხვევაში საქმისწარმოება და შესაბამისად ვადების ათვლა იწყება

თავიდან. ადმინისტრაციულ წარმოებაში ვადის ათვლა იწყება განცხადების წარდგენიდან.

5. ექსპერტის დანიშვნის აუცილებლობა. ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც წამოიჭრება ისეთი საკითხები, რომლებიც სპეციალურ ცოდნას მოითხოვს და გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელი ხდება ამ საკითხების გარკვევის გარეშე, ლიცენზიის გამცემი ნიშნავს ექსპერტიზას. ექსპერტის დანიშვნის აქტში კონკრეტულად უნდა ჩამოყალიბდეს ის კითხვები, რაზედაც სურს პასუხის მიღება ლიცენზიის გამცემ უწყებას. ექსპერტიზა ძირითადად ინიშნება მეცნიერების, ტექნიკის ანდა მედიცინის სფეროში ამა თუ იმ საკითხის გასარკვევად. დაუშვებელია ექსპერტიზა დაინიშნოს სამართლებრივ საკითხებზე.

განცხადებისა და მასზე თანდართული მასალების შესაბამისობის დადგენიდან მომდევნო 3 დღის განმავლობაში უნდა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. ექსპერტის დანიშვნის აქტი, განცხადება და თანდართული მასალის ასლები უნდა გადაეგზავნოს ექსპერტს დასკვნის წარმოსადგენად. ექსპერტი დასკვნას წარმოადგენს მასალების მიღებიდან ორი კვირის ვადაში. ექსპერტიზის მიმდინარეობისას ვადის დინება შეჩერებულია;
2. უნდა გამოქვეყნდეს ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ. ცნობაში უნდა მიეთითოს:
  - ა) ლიცენზიის გამცემი ორგანო, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება და მისი მისამართი;
  - ბ) ლიცენზიის მოთხოვნით წარდგენილი განცხადების მოკლე შინაარსი;
  - გ) ლიცენზიის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ვადა;
  - დ) ნებისმიერი პირის მიერ საკუთარი მოსაზრების წარდგების ვადა;
  - ე) ნებისმიერი პირის უფლება, რომ მას მოსაზრების წარდგენისას შეუძლია არ დაასახელოს თავისი ვინაობა;
  - ვ) ცნობის გამოქვეყნების თარიღი.

საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ ცნობა უნდა გამოქვეყნდეს ლიცენზიის გამცემი ორგანოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში. თუ ლიცენზიის გამცემ ორგანოს არა აქვს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო, მაშინ ცნობა ქვეყნდება იმ ბეჭდვით ორგანოში, რომელიც ვრცელდება ლიცენზიის გამცემი ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე და გამოიცემა კვირაში ერთხელ მაინც. უსასხლობის ან სხვა მოტივით ცნობის ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნების შეუძლებლობისას, ლიცენზიის გამცემი ორგანო ვალდებულია სულ მცირე ზემოაღნიშნული ცნობა განათავსოს სამსახურის ოფიციალურ დაფაზე (კ.წ. სტენდზე), სადაც ნებისმიერ პირს ექნება შესაძლებლობა დაუბრკოლებლად გაეცნოს მას ანუ ცნობა ისეთ ადგილას უნდა განთავსდეს, რომ მისი გაცნობა ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს და მის გასაცნობად დაინტერესებულ პირს შენობაში შესასვლელად საშვის მიღება არ უნდა დასჭირდეს.

კვლევის შედეგება გვიჩვენს, რომ გეოლოგიის დაპარტამენტი ცხობას საჯარო გაცემისთვის დოკუმენტების უარღენის შესახებ აშვევებს გაზეთ „საქართველოს რესაზელიძე“

„გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ“ კანონის მიხედვით გეოლოგიის დეპარტამენტი საჭიროების შემთხვევაში ადმინისტრაციული წარმოების მსვლელობისას ადგილზე ამოწმებს ლიცენზიის მისაღებად წარდგენილ დოკუმენტაციას და შემოწმების შედეგად მიღებული ინფორმაცია შეიძლება გახდეს ლიცენზიის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის საფუძველი.

სალიცენზიო პირობების ადგილზე შემოწმების მიზანია დაადგინოს, შესაბამება თუ არა გაცეხალებაში მითითებული ტერიტორი საშუალებები ზარტობრივ მდგრმარეობას, ანუ ისინი ნამდვილად უდრი გააჩნდეს ლიცენზიის მართველს. გუნდოვანია ზრახა „საჭიროების შემთხვევაში“, გეოლოგიის დეპარტამენტის პოზიციით საჭიროებას გასაზღვრავს დეპარტამენტი თავის შეხედულებისამებრ, ანუ თუ იგი არ იცნობს საჭაროს და მის ტერიტორ პოტენციალს იღებს გადაწყვეტილებას ტერიტორ საშუალებათა ადგილზე შემოწმების შესახებ.

შემოწმები იძნებოდა სალიცენზიო პირობების ადგილზე შემოწმების აუცილებლობა უფრო მკაცრად გასაზღვრულიყო კანონით.

აღსანიშნავია ის ზარტიც, რომ კანონში არ არის მითითებული ის კონკრეტული ტერიტორი საშუალებები, რომელიც აუცილებელია გეოლოგიური საჭიროების დასაწყისად, შესაბამისად დეპარტამენტი ვერ დაუმტკიცებს მეზარებს, რომ იგი მის ხელი არსებული, თუდაც მწირი ტერიტორი საშუალებებით, ვერ შეძლებს განახორციელოს გეოლოგიური საჭიროება.

საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ ცხობის გამოქვეყნებიდან 20 დღის ვადაში ნებისმიერ პირს უფლება აქვს ლიცენზიის გამცემ ორგანოში გაეცნოს ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებსა და სხვა დაინტერესებული პირების მოსაზრებებს, ასევე საქმეში არსებულ სხვა მასალას, გააკეთოს ამონაწერები, საკუთარი ხარჯით გადაიღოს ასლები, წარადგინოს საკუთარი მოსაზრება წერილობით, დაესწროს საქმის ზეპირ მოსმენას. მოსაზრების წარდგენა შეუძლია არა მხოლოდ განმცხადებელს, არამედ სხვა ნებისმიერ პირსაც, რომელიც უფლებამოსილია არ დაასახელოს თავისი ვინაობა, ე.ი. დარჩეს ანონიმურად. აქვე ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ ნებისმიერი პირისა და ნებისმიერი დაინტერესებული პირის ცნებები. ნებისმიერი დაინტერესებული პირი არის ისეთი პირი, რომლის უფლებებზე ან კანონიერ ინტერესებზე ლიცენზიის გაცემა პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს; დაინტერესებულ პირად ითვლება ასევე ლიცენზიის მაძიებელი. ნებისმიერი პირი კი არის ისეთი პირი, რომლის უფლებებზე და ინტერესებზე ლიცენზიის გაცემა უშუალო გავლენას არ ახდენს, მაგრამ სურს გამოხატოს თავისი პოზიცია ლიცენზიის კონკრეტულ სუბიექტზე გაცემასთან დაკავშირებით. მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის თვალსაზრისითაც: ნებისმიერი პირი მოსაზრებას წარმოადგენს საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ ცხობის გამოქვეყნებიდან 20 დღის ვადაში და უფლება აქვს მხოლოდ დაესწროს ზეპირი მოსმენის სხდომას, ხოლო ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ენიჭება უფლება ახსნა-განმარტებით გამოვიდეს ზეპირი მოსმენის სხდომაზე.

განმცხადებელს უფლება აქვს ადმინისტრაციულ წარმოებას დაესწროს პირადად ან იყოს წარმოდგენილი წარმომადგენლით. წარმომადგენელი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქმედუნარიანი ფიზიკური პირი. წარმომადგენლობის დროს სავალდებულოა ლიცენზიის გამცემი ორგანოსათვის წარდგენილი იყოს კანონის შესაბამისად გაცემული და გაფორმებული რწმუნებულება (მინდობილობა). ფიზიკური პირის – საქართველოს მოქალაქის, უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის – მიერ გაცემული რწმუნებულება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. რწმუნებულებას იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციის სახელით გასცემს დირექტორი ან ის პირი, რომელსაც წესდებით ენიჭება ასეთი უფლებამოსილება. იურიდიული პირის მიერ გაცემულ რწმუნებულებას სანოტარო დამოწმება არ ესაჭიროება და საკმარისია მისი მოთავსება იურიდიული პირის სატიტულო ფურცელზე. რწმუნებულების გარდა, წარმომადგენელმა შეიძლება მონაწილეობა მიიღოს დაგალების ხელშეკრულებითაც. დაგალების ხელშეკრულებას სანოტარო წესით დამოწმება არ ესაჭიროება, მაშინაც კი, როცა მისი ერთ-ერთი მხარე ფიზიკური პირია.

განმცხადებელს ლიცენზიის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გამოცემამდე წერილობითი სახით შეუძლია აცილება განუცხადოს ლიცენზიის გამცემი ორგანოს თანამდებობის პირს, რომელსაც კანონის შესაბამისად არა აქვს უფლება მონაწილეობას იღებდეს ადმინისტრაციულ წარმოებაში. საქმის ზეპირი მოსმენის სხდომაზე აცილების თაობაზე შუამდგომლობა შეიძლება დაყენებულ იქნეს ზეპირადაც. აცილების საფუძველია, თუ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს ის თანამდებობის პირი, რომელიც:

- თვითონ არის დაინტერესებული მხარე საქმეში;
- საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია (მოცემულ შემთხვევაში ნათესავებად ითვლება: პირდაპირი ხაზის ნათესავი; მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი; აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა; და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები);
- საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია;
- იყო ექსპერტი მოცემულ საქმესთან დაკავშირებით;
- შრომით ურთიერთობაშია საქმეში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან;
- თვითონ, ან მისი ოჯახის წევრი ფლობს აქციებს ან წილს იმ საწარმოში, რომელიც წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს;
- საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ოჯახის წევრია.

ნებისმიერი პირის მიერ მოსაზრების წარმოდგენის ვადის გასვლიდან (ანუ საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 20 დღის შემდეგ) 5 დღის ვადაში იმართება საქმის ზეპირი მოსმენა. ზეპირი მოსმენის გამართვის შესახებ მაძიებელს უნდა ეცნობოს ზეპირი მოსმენის სხდომის გამართვამდე 7 დღით ადრე მაინც და მოწვეულ იქნეს ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად. ზეპირ მოსმენაზე მოწვეული უნდა იქნეს სხვა დაინტერესებული პირებიც. მოსაწვევ უწყებაში უნდა მიეთითოს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილება – საქმე

განიხილოს და გადაწყვიტოს დაინტერესებული მხარის მონაწილეობის გარეშე.

ლიცენზიის გამცემი ორგანო ვალდებულია განუმარტოს განმცხადებელს მისი უფლებები და მოვალეობები, გააცნოს განცხადების განხილვის წესი და ვადა, მიუთითოს განცხადებაში დაშვებული შეცდომის შესახებ.

ლიცენზიის გამცემი ორგანო ლიცენზიის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე, რომლის ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს ერთ სამუშაო დღეს. ლიცენზიის გამცემმა ორგანომ უნდა გამოიკვლიოს ყველა წარდგენილი ღოკუმენტი, მოუსმინოს განმცხადებელსა და ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე სხვა დაინტერესებულ პირს, განიხილოს მაძიებლის ანდა მისი წარმომადგენლის მიერ დაყენებული შუამდგომლობები (აცილების, მტკიცებულებათა წარდგენის და ა.შ.). თუ ექსპერტიზა ჰქონდა დანიშნული, უფლება აქვს სხდომაზე გამოიძახოს ექსპერტი და კითხვები დაუსვას მის მიერ წარმოდგენილ დასკვნასთან დაკავშირებით. ექსპერტისათვის კითხვის დასმის უფლება აქვს მაძიებლსა და საქმეში ჩართულ დაინტერესებულ პირსაც. სხდომაზე შეიძლება გამოძახებულ იქნენ მოწმეები ამა თუ იმ ფაქტის დასადასტურებლად.

ზეპირი მოსმენის სხდომა საჯაროა და ნებისმიერ პირს აქვს უფლება დაესწროს მას, თუმცა სხდომაზე გამოსვლის უფლებით სარგებლობენ მაძიებელი და დაინტერესებული პირი. სხდომაზე დგება ოქმი, სადაც ადინიშნება საქმის მიმდინარეობა, განხილვის დრო და ადგილი, სხდომაზე მონაწილე მხარეები, ექსპერტებისა და მოწმეების ვინაობა, განსახილველი საკითხის მოკლე აღწერა. ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიიღება საქმეზე ყველა გარემოების დადგენის, მტკიცებულებების გამოკვლევის, შეფასებისა და წარმოდგენილი არგუმენტების ურთიერთშეჯერების საფუძველზე. გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიიღება ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის სახით განცხადების დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებიდან 1 თვის ვადაში, ზეპირი მოსმენის გამართვიდან 10 დღის ვადაში. ადმინისტრაციული აქტი შეიძლება გამოიცეს ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების სახით. ადმინისტრაციული აქტი გამოიცემა წერილობით და ძალაში შედის გამოქვეყნების მომენტიდან. გამოქვეყნების მიმართ გამოიყენება იგივე წესები, რაც საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ ცნობის გამოქვეყნებისათვის არის დადგენილი. ლიცენზიის თაობაზე მიღებული აქტის გამოქვეყნება სავალდებულოა. კონკრეტულად თუ რა სახით იქნება ადმინისტრაციული აქტი გამოცემული (ბრძანების, განკარგულების, დადგენილების და ა.შ.), ეს დამოკიდებულია ლიცენზიის გამცემი ორგანოს დებულებაზე. ლიცენზია (სალიცენზიო მოწმობა) გაიცემა ადმინისტრაციული აქტის გამოცემიდან 3 დღის ვადაში.

ინფორმაცია ლიცენზიის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს ადმინისტრაციული აქტის გამოცემიდან 10 დღის ვადაში

ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“. გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია მოიცავს მოკლე წერილობით პუბლიკაციას, სადაც იქნება აღნიშნული ლიცენზიის მფლობელის ან იმ პირის სახელწოდება, რომელსაც უარი ეთქვა ლიცენზიის გაცემაზე (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით, ასეთი სუბიექტის არსებობის შემთხვევაში, მაგ., ინდ. მეწარმე, შპს, სს, სკს), გამცემი ორგანოს დასახელება, ბრძანების ნომერი და თარიღი, რომლითაც გადაწყვეტილება იქნა მიღებული, ლიცენზიის გაცემის შემთხვევაში ლიცენზირებული საქმიანობის სახეობა და ლიცენზიის მოქმედების ვადა.

ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის, ასევე ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის, მისი მოქმედების შეჩერების ან განახლების ან/და გაუქმების შესახებ წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:


- ა) ადმინისტრაციული აქტის სახეს (მაგ., ბრძანება №);
- ბ) გამომცემ ორგანოს დასახელებას;
- გ) ადმინისტრაციული აქტის სათაურს (მაგ., ბრძანება № ლიცენზიის გაცემის შესახებ ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ);
- დ) უფლებამოსილი თანამდებობის პირის გვარს, სახელსა და ხელმოწერას;
- ე) გამოცემის დროსა და ადგილს;
- ვ) ადმინისტრაციული აქტის გამომცემი ორგანოს მიერ მინიჭებულ სარეგისტრაციო ნომერს;
- ზ) ადმინისტრაციულ აქტში უნდა მიეთითოს ის ორგანო, რომელშიც შეიძლება ამ აქტის გასაჩივრება, მისი მისამართი და საჩივრის წარდგენის ვადა (მაგ., „ბრძანება ლიცენზიის გაცემის შესახებ შეიძლება 1 თვის ვადაში გასაჩივრდეს სამინისტროში, შემდეგ მისამართზე...“).


ადმინისტრაციული წარმოების დადგენილი (ლიცენზიის გაცემის ვადის) ვადის დარღვევა ჩაითვლება ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმად, რომლის გასაჩივრებაც შესაძლებელია.


ადმინისტრაციული წარმოებისას დარღვეული ანუ გაშვებული ვადის აღდგენა შესაძლებელია, თუ ვადის გაშვება მოხდა საპატიო გარემოებების არსებობისას, როგორიცაა დაუძლეველი ძალა (მიწისძვრა, წყალდიდობა ან ა.შ.), ლიცენზიის მაძიებლის ავადმყოფობა ანდა სხვა საპატიო მიზეზი ანდა ლიცენზიის გამცემი ორგანოს ბრალი. გაშვებული ვადის აღდგენისათვის ლიცენზიის მაძიებელმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს საპატიო გარემოებების აღმოფხვრიდან არა უგვიანეს 15 დღეში და უნდა დაადასტუროს საპატიო გარემოებების არსებობა განცხადებაზე ავადმყოფობის ცნობის დართვით და სხვა. ლიცენზიის გამცემი ორგანო გაშვებული ვადის აღდგენის განცხადებას განიხილავს 5 დღის ვადაში და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას (ადმინისტრაციული აქტის ფორმით): ვადის აღდგენის ან ვადის აღდგენის დაუშვებლობის შესახებ.

## საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ლიცენზიის გაცემის თაომაზე

### ს ქ ე მ ა







## ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის საჭედლები

ლიცენზია არ გაიცემა, თუ:

- ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ აქმაყოფილებს ლიცენზიის მისაღებად კანონით დადგენილ პირობებს;
  - ლიცენზიის მაძიებელი ითხოვს ლიცენზიას, რომელიც გაუქმებულია და გაუქმებიდან არ გასულა ერთი წელი;
  - ლიცენზიის მაძიებელს შეუჩერდა ამ სფეროში მიღებული ლიცენზიის მოქმედება და არ აღმოფხვრილა ლიცენზიის შეჩერების საფუძველი.
- ✓ აკრძალულია ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმა გასაცემი ლიცენზიას რაოდენობის შეზღუდვის მოფიციით.
- ✓ ეგისმიერ პირზე, რომელიც აკმაყოფილებს სალიცენზიო პირობებს, უდაბნო გამოსახულის და უწყებების მიზანის სფეროში დაუშვებელია, ლიცენზიის გამოხვავა როგორმა ჩათვალის, რომ გარდა მის მიზანის რაოდენობის ლიცენზიის მფლობელი სუბიექტების მიზანი არ არის საჭირო და ამ მიზანით უარი უთხრას განმოხადებელს.

**გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ აჭარის აპტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი დეპარტამენტისთვის გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზიის გაცემის უზღვებამოსილების გადაცემა**

„საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სამთავრობო დაწესებულებების სისტემაში ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებებისთვის ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის უფლებამოსილების გადაცემის წესის შესახებ“ 2003 წლის 29 სექტემბრის №472 ბრძანებულების მიხედვით ისეთ ლიცენზიის მაძიებელზე, რომელიც რეგისტრირებულია ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე და გეოლოგიურ საქმიანობას ახორციელებს ამავე ტერიტორიაზე, ლიცენზიას გასცემს გეოლოგიის დეპარტამენტის სისტემაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი დეპარტამენტი. ამ უფლებამოსილების გადაცემა ხორციელდება საქართველოს შესაბამისი სამინისტროს სამთავრობო დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანებით, გეოლოგიის დეპარტამენტს ასეთი უფლებამოსილება ავტონომიური

რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტროსთვის არ გადაუცია, რადგან გეოლოგიის დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციით ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი დეპარტამენტის წარმომადგენლები არ იცნობენ ადმინისტრაციულ წარმოებას და გარდა ამისა ასრულებენ გეოლოგიურ სამუშაოებს დაკვეთით ანუ ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას და თვითონვე საჭიროებენ ლიცენზირებას, გარდა ამისა, დეპარტამენტის აზრით, ასეთი უფლებამოსილების ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი სახელმწიფო უწყებისთვის გადაცემა არ შედის მეწარმის ინტერესებში, რამდენადაც გეოლოგიის დეპარტამენტის აჭარის შესაბამისი უწყების მიერ გაცემული ლიცენზიის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ აჭარის ტერიტორიაზე, განსხვავებით გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ გაცემული ლიცენზიისგან, რომელიც მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. თუ აჭარის ტერიტორიაზე გაცემული ლიცენზიის მფლობელი მოინდომებს საქმიანობა განახორციელოს საქართველოს სხვა ტერიტორიაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის გარდა, მაშინ მას მოუწევს იგივე საქმიანობაზე მეორე ლიცენზიის აღება გეოლოგიის დეპარტამენტში.

გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ აჭარის აპტონომიური რესაუკლიპისთვის ლიცენზიის გაცემის უფლებამოსილების გადაცემას ავალდებულებს არაზიდენის ბრძანებულება და ამის განშხორციელებლობა კანონის დარღვევაა, დეპარტამენტის წარმომაზებულებს უფლება არა აპგთ სუბიექტური შეხედულებით იმოქმედონ და არა კანონის შესაბამისად. გარდა ამისა თუ აჭარის აპტონომიურ რესაუკლიპაში რეგისტრირებულ სამეურნეო სუბიექტს სურვილი ექნება გეოლოგიური სამუშაოები ჩატაროს შემცირების მთელ ტერიტორიაზე, იმი უფლებამოსილია გეოლოგიური სამიანობის ლიცენზია აიღოს გეოლოგიის დეპარტამენტში.

## სალიცენზიონ მოწმობის დაპარბეჭა ან დაზიანება

სალიცენზიონ მოწმობის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი ლიცენზიის გამცემს მიმართავს წერილობითი განცხადებით სალიცენზიონ მოწმობის დუბლიკატის მიღების თაობაზე.

სალიცენზიონ მოწმობის დუბლიკატის მოსაკრებელი განისაზღვრება „სალიცენზიონ და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით.

- ✓ სალიცენზიონ მოწმობის დუბლიკატის მოსაკრებელი შეაღეს 10 ლარს.
- ✓ ლიცენზიის გამცემი გაცესადების მიღებიდან 2 დღეში გასცემს სალიცენზიონ მოწმობის დუბლიკატს. შესაბამისი ინფორმაცია შეიტანება უფლებით და სახელმწიფო სალიცენზიონ რეჟიმში.
- ✓ დუბლიკატის გაცემასთან დაკავშირებით ლიცენზიის გამცემი ორგანო ზოგადი აღმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად წარმართავს მარტივ აღმინისტრაციულ წარმოებას.
- ✓ დუბლიკატის გაცემის შესახებ უდეა გამოიცეს აღმინისტრაციული აქტი.
- ✓ სალიცენზიონ მოწმობის დუბლიკატს აქვთ ისეთივე იურიდიული ძალა, როგორიც მის დედას.

ლიცენზიის დუბლიკატის გაცემასთან დაკავშირებით სახელმწიფო ორგანოებისათვის ზორ შემთხვევაში გაუმჯობესებულია თუ რა არის

**ლიცენზიის დუბლიკატი:** ეს პრის ლიცენზიის შემორასლი, ლიცენზიის ახალი მოწმობა თუ სხვა რამ. გაუკვევლობას თუ ერთგვარ დაცემულობას იღვებს ის ფაქტი, რომ სალიცენზიო მოწმობა (ლიცენზი) პრის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი, რომელიც შეიცავს საეციალურ რეპზიტებს (საეციალურ ნომრებს, გაცემის თარიღსა და ა.შ.), რომელიც განსაკუთრებული წესით პრის გარდება ლიცენზის ორგანოს და პასუხისმგებელია მის თითოვაულ ცალზე. ლიცენზიის დუბლიკატი პრის ჩვეულებრივ ახალი სალიცენზიო მოწმობა, იმ განსხვავებით, რომ გასხვა თგალსაჩინო აღგილას აღინიშნება წარწერა: „დუბლიკატი“ ან „ასლი“. რაც შემხება ნუმერაციას: ლიცენზია წარწერით „დუბლიკატი“ იწევა აღრე დაგარმული თუ დაზიანებული ლიცენზიის შემცველი ახალი დოკუმენტი თავისი ნომრით, რომლის ნუმერაცია გულებრივია არ ემთხვევა დაპარბული თუ დაზიანებული ლიცენზიის ნომრს შესაძლებელია საერთოდ შემუშავდეს დუბლიკატისათვის პრის სალიცენზიო მოწმობის უროშა და სათანაზო წესით დამტკიცდეს იმი.

## ლიცენზიის მოქმედების შეჩერება და განახლება

ლიცენზიის გამცემი იღებს გადაწყვეტილებას ლიცენზიის მოქმედების შეჩერების შესახებ, თუ ლიცენზიის მფლობელი არღვევს კანონით დადგენილ სალიცენზიო პირობებს.

თუ ლიცენზიის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დაყოვნებამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს საჯარო ან კერძო ინტერესებს, ლიცენზიის გამცემი უფლებამოსილია ადმინისტრაციული წარმოების გარეშე მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ლიცენზიის მოქმედების შეჩერების შესახებ. გადაწყვეტილება ლიცენზიის მფლობელს უნდა ეცნობოს არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.

ლიცენზიის გამცემი ლიცენზიის მოქმედების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებაში მიუთითებს კანონით დადგენილ სალიცენზიო პირობებს, რომელთა შესრულებაც (გამოსწორებაც) გამოიწვევს ლიცენზიის მოქმედების განახლებას.

ლიცენზიის მოქმედება შეჩერდება შეჩერების გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრამდე, მაგრამ არა უმეტეს 3 თვისა.

ლიცენზიის მოქმედების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ თანამდებობის პირთან, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ან/და სასამართლოში.

ლიცენზიის მოქმედება განახლდება ლიცენზიის განახლების შესახებ ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე. ლიცენზიის გამცემი უფლებამოსილია ლიცენზიის მოქმედების განახლების ადმინისტრაციული წარმოების დასრულებამდე, წარდგენილ მასალებზე დაყრდნობით, განახლოს ლიცენზიის მოქმედება.

- ✓ თუ ლიცენზიის მოქმედების შეჩერება ან ლიცენზიის გაშვება ზიანს აყენებს, საზოგადოებრივ ან სახელმწიფო ინტერესებს, ლიცენზიის მფლობელს, კანონის საზუმრეულო, უფლება აშშს გარეული გადით გააგრძელოს ლიცენზიით გათვალისწინებული სამიანობა ლიცენზიის გამომისახული.

- ✓ ლიცენზის თაობაზე გადაწყვეტილების ზემდგომ ორგანოში ან სასამართლოში გასაჩივრება არ იღვის არსებული გადაწყვეტილების შეჩერებას, თუ ლიცენზის გამოვმი, საჩივრის გამოხილვები მოგანო ან სასამართლო არ მიღებს სხვა გადაწყვეტილებას.

### **ლიცენზის გაუქმება**

ლიცენზის გაცემაზე გადაწყვეტილება (ლიცენზია) გაუქმდება, თუ:

- იგი გასცა არაუფლებამოსილმა ორგანომ ან პირმა;
- ✓ გეოლოგის სფეროში ლიცენზის გამოვმი უფლებამოსილი ორგანო განისაზღვრება „გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზის გაცემის შესახებ“ კანონით, ხოლო ლიცენზის გამოვმი უფლებამოსილი პირი აი, ლიცენზის გამოვმი ორგანოს დაუუბნებით.
- იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად ირღვევა ლიცენზის მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები;
- ✓ საფუძვლების შესახებ პანონში პირდაპირ განისაზღვრა, რომ ლიცენზია უნდა გაიცეს საჯარო აღმინისტრაციული ფარმომანის წესით. საჯარო აღმინისტრაციულ ფარმომანი (ლიცენზის გაცემის წესი) „არსებითი მოთხოვნების დარღვევაზე“ ითვლება თუ არ გამომარტინდა ცენტრ საჯარო გაცემისათვის ღორჯომების ფარდგენის შესახებ, მაგიგებლი და სხვა დაინტერესებული პირები არ იძნენ მოწვევული საშმის ზეპირ მოსმენაზე, მაგიგებლს არ ეცნობა საშმის განხილვის გადის გაბრძელების შესახებ, ლიცენზის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ აპტი გამოიცა შესაბამისობის დადგენილან 1 თვის ბასელის შემდეგ, დაირღვა მოსახლეობის ფარდგენის 20 დღიანი ვადა; აღმინისტრაციული აპტი ლიცენზიის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ არ გამომვაჟდა.
- ლიცენზის გაუქმება პირდაპირ მითითებულია კანონში;
- არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოება, აგრეთვე შესაბამისი სამეცნიერო-ტექნიკური აღმოჩენა ან გამოგონება, რაც ლიცენზიის გამცემს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი აღმინისტრაციული აქტი და ლიცენზიის მოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს;
- არსებობს ლიცენზიის მფლობელის მოთხოვნა, რომ მას გაუუქმონ ლიცენზია;
- სახეზეა ლიცენზიის მფლობელის გარდაცვალება (დადგენილი წესით გარდაცვლილად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან ქმედუუნაროდ ცნობა) ანდა ლიკვიდაცია;
- ✓ ლიცენზის მფლობელის გარდაცვლილად გამოცხადების, უბზო-უკვლოდ დაპატიჟულად აღიარების, შმეღუცნარობის აღიარების ან ლიკვიდაციის საფუძვლით ლიცენზია გაუქმდება მაშინ, თუ ფარმოდგენილი იძნება თითოეული ამ საფუძვლის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება; თითოეული ზემოაღნიშვნული უაპტი (ლიცენზიის მფლობელის გარდაცვლილად გამოცხადება, შმეღუცნაროდ აღიარება, უბზო-უკვლოდ დაპატიჟულად აღიარება, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში პი - ლიკვიდაცია) დადგენილი უნდა იყოს სასამართლოს მიერ.
- ლიცენზიის მოქმედების შეჩერების ვადა გასულია და არ აღმოიფხვრა მისი შეჩერების საფუძველი;

- ✓ სალიცენზიონ პირობების დარღვევისას ლიცენზიის გამოხვილვი ტრგანო აჩვენებს ლიცენზიის მოქმედებას არა უმატეს 3 თვის გადით. ამ გადაში დარღვეული სალიცენზიონ პირობების გამოშვრომებლობა იძლევა ლიცენზიის გაუქმების საფუძვლი.
- გაუქმდა ან შეიცვალა შესაბამისი ნორმატიული აქტი, რაც აღმინისტრაციულ ორგანოს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და აღმინისტრაციული აქტის მოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს. ასეთ შემთხვევაში დაინტერესებულ მხარეს, რომელსაც ზიანი მიაღვა, მისი მოთხოვნის საფუძველზე მიეცემა ანაზღაურება.

ლიცენზიის გამცემი ლიცენზიის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ლიცენზიის გაცემისათვის დადგენილი წესით.

თუ ლიცენზიის მოქმედების შეჩერების ვადის გასვლისას არ აღმოიფხვრა მისი შეჩერების საფუძველი ან თუ გადაწყვეტილების მიღების დაყოვნებამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს საჯარო ან კერძო ინტერესებს, ლიცენზიის გამცემი გალდებულია 3 დღეში მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ლიცენზიის გაუქმების შესახებ. ლიცენზიის გამცემი ლიცენზიის მფლობელს დაუყოვნებლივ შეატყობინებს ლიცენზიის გაუქმების თაობაზე აღმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

## სტატისტიკური მონაცემების ანალიზი

„გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზის გაცემის შესახებ კანონის ამოქმედების” შემდეგ:

- გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად დეპარტამენტს მიმართა 17- მა ლიცენზიის მაძიებელმა და უარი არ ეთქვა არც ერთ მათგანს;
- სულ გაიცა 27 ლიცენზია გეოლოგიური საქმიანობის სხვადასხვა სახეზე.

გეოლოგიური საქმიანობების სახეების მიხედვით გაცემული ლიცენზიები ასე განაწილდა:

გეოლოგიური საქმიანობის სახე	გაცემული ლიცენზიების რაოდენობა
საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოებისთვის	12
ჰიდროგეოლოგიური სამუშაოები	7
რეგიონული გეოლოგიური სამუშაოები და გეოლოგიური აგეგმვა	2
ლითონური სასარგებლო წიაღისეულის ძებნა-ძიება	3
არალიტონური სასარგებლო წიაღისეულის ძებნა-ძიება	2
გეოქიმიური სამუშაოები	1

საწარმოები რეგისტრირებულია შემდეგ ქალაქებში:

ქალაქის დასახელება	რეგისტრირებულ საქარმოთა რაოდენობა
თბილისი	11
ბათუმი	1
ოზურგეთი	1
საჩხერე	1
გორი	1
ბორჯომი	1
ლანჩხუთი	1

ჯერ არ გაცემულა არც ერთი ლიცენზია შემდეგი სახის გეოლოგიური საქმიანობებისთვის : მყარი საწვავი წიაღისეულის ძებნა-ძიება, გეოფიზიკური სამუშაოები, გეოგარენოლოგიური სამუშაოები.

ამასთან ლიცენზიის გაცემის დროს შეიმჩნევა შემდეგი კანონდარღვევები, კერძოდ, სააქციო საზოგადოება საქართველოს გეოლოგისა და სამორ საქმის ეროვნული კომპანიის ფილიალზე – „ჰიდროსაინჟენ“ გაცემულია საინჟინრო გეოლოგიური საქმიანობის და ჰიდროგეოლოგიური საქმიანობის ლიცენზიები. იგივე ორგანიზაციის მეორე ფილიალზე – „მცირე კავკასია“ გაცემულია შემდეგი სახის ლიცენზიები: რეგიონული გეოლოგიური სამუშაოები და გეოლოგიური აგეგმვა, ლითონური სასარგებლო წიაღისეულის ძებნა-ძიება, არალიტონური სასარგებლო წიაღისეულის ძებნა-ძიება, ჰიდროგეოლოგიური სამუშაოები.

ლიცენზია გაიცემა სამეცნიერო სტატუსით და არა ობიექტის. ამასთან სს საქართველოს გეოლოგიისა და სამთო სამინისტროს მიერაცხადის უძღვს საინიციალურ-გეოლოგიური სამინისტროს ლიცენზიას, რაც მის უძღვიალს იმთაგითვე ანიჭებს უფლებას განახორციელოს საინიციალურ-გეოლოგიური სამშპარმებლის.

ამ დროისთვის საპროექტო-სამშენებლო ლიცენზიის მფლობელ 14 ორგანიზაციას გაუვიდა ლიცენზიის მოქმედების ვადა. საპროექტო-სამშენებლო საქმიანობის ლიცენზია ანიჭებდა მათ საინიციალურ-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური სამუშაოების წარმოების უფლებას და ისინი საჭიროებენ გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზიის აღებას, იმ შემთხვევაში თუ კვლავ ეწევიან გეოლოგიურ საქმიანობას.

ჩვენ დაგუკავშირდით ვადაგასულ საპროექტო-სამშენებლო ლიცენზიის მფლობელ მეწარმეებს იმის გასაგებად ახორციელებენ თუ არა ისინი გეოლოგიურ საქმიანობას. მეწარმეებიდან, რომელთან დაკავშირებაც ჩვენ მოვახდეთ დიდი ნაწილი არ ეწევა გეოლოგიურ საქმიანობას, ნაწილს გააჩნია გეოლოგიის სფეროში სამეწარმეო საქმიანობის სურვილი, მაგრამ ვერ ახორციელებს გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზიის უქონლობის გამო, ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამენ სალიცენზიო მოსაკრებლის ოდენობასთან დაკავშირებით და აღნიშნავენ, რომ ეს არის ლიცენზიის აუდებლობის ძირითადი მიზეზი. აღსანიშნავია ასევე მეწარმეთა დაბალი ინფორმირებულობის დონე: დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც მეწარმემ არ იცოდა, რომ გეოლოგიური საქმიანობის განსახორციელებლად აუცილებელია გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზიის აღება.

გეოლოგიის დეპარტამენტის განმარტებით იგი ტელეფონით დაუკავშირდა მეწარმეებს და აცნობა საპროექტო სამშენებლო ლიცენზიის ვადის გასვლისა და გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზიის აღების აუცილებლობის შესახებ.

## პონტიფიკალუს სისტემა

### სალიცენზიო პირობების შესრულებაზე პონტიფიკალი

ლიცენზიის გამცემ ორგანოს ლიცენზიის მფლობელის საქმიანობის კონტროლის უფლება მიანიჭა „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის პირველი კუნქტის „გ“ ქვეპუნქტიმა.

პონტიფიკალის შედეგად აღმოჩენა, რომ გაოღობის დაპარტამენტი არ არის რეგისტრირებული გაკონტროლებული (გაკონტროლებული როგანოთა სახელმწიფო რეჟიმისაც 078-სტიციის სამინისტრო აღარმოვას), შესაბამისად გაოღობის დაპარტამენტს არა ამს უფლება პონტიფიკალი განახორციელოს სალიცენზიო პირობების შესრულებაზე.

მაკონტროლებელ ორგანოთა სახელმწიფო რეესტრს აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. აკრძალულია სამეწარმეო საქმიანობაზე კონტროლი განახორციელოს იმ ორგანომ, რომელიც არ არის რეგისტრირებული მაკონტროლებლად. სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანომ, აგრეთვე შესაბამისმა ადმინისტრაციულმა ორგანომ მაკონტროლებელ ორგანოთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციისათვის განცხადებით უნდა მიმართოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს. განცხადებას უნდა დაერთოს:

- 1 სამეწარმეო საქმიანობის სახეების ჩამონათვალი, რომლებზეც უნდა განახორციელოს კონტროლი;
- 2 მითითება ნორმატიული აქტის (მაგ., კანონის) კონკრეტულ მუხლზე ან მუხლებზე, რომლებიც მას ანიჭებენ სამეწარმეო საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების უფლებას.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო წარმოდგენილ განცხადებასა და თანდართულ მასალებს იხილავს მათი წარდგენიდან 10 დღის ვადაში და იდებს გადაწყვეტილებას მაკონტროლებელ ორგანოდ რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ. თუ საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ შესაბამისი ორგანო გაატარა რეგისტრაციაში როგორც მაკონტროლებელი, მაშინ იგი მასზე გასცემს რეგისტრაციის ცნობას.

კონტროლის შესახებ კანონმდებლობის მიხედვით კონტროლს არ წარმოადგენს კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზიის, სერტიფიკატის გაცემა, სავაჭრო ქსელში სერტიფიკატის მოთხოვნა და შესაბამისი აქტის შედგენა. მეწარმის შემოწმება ლიცენზიის მიღების შემდეგ ექცევა კონტროლის საერთო რეესტრში და მაკონტროლებელ ორგანოს უფლება არა აქვს სასამართლო ბრძანების გარეშე განახორციელოს მისი კონტროლი.

ლიცენზიის გამცემ ორგანოებს უფლება აქვთ განახორციელონ მეწარმის საქმიანობაზე კონტროლი მხოლოდ სალიცენზიო ანდა პირობებთან დაკავშირებით; კერძოდ, იმ წესების, ნორმებისა და მოთხოვნების ერთობლიობის შესრულებაზე კონტროლი, რომელთა დაცვაც მოეთხოვება ლიცენზიის მფლობელს ლიცენზიით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებისას. ლიცენზიის მისაღებად დადგენილი პირობების შემოწმება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონტროლად არ ითვლება.

შემოწმების დაწყებამდე ლიცენზიის გამცემი, ორგორც მაკონტროლებელი ორგანო ვალდებულია ლიცენზიის მფლობელის საქმიანობის დადგენილ მოთხოვნებთან შემოწმების დაწყებამდე მიმართოს იმ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, ორმლის სამოქმედო ტერიტორიაზე გააჩნია მეწარმეს ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი). შეამდგომლობა მეწარმის შემოწმების თაობაზე უნდა შეიცავდეს საკმარის საფუძველს ბრძანების გასაცემად.

შეამდგომლობაში მიეთითება შესამოწმებელი მეწარმის ზუსტი მონაცემები – სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი – შემოწმების ვადა და ფარგლები ანუ მითითება იმის შესახებ თუ კონკრეტულად მეწარმის საქმიანობის თუ დოკუმენტაციის რა ნაწილი უნდა შეამოწმოს მაკონტროლებელმა ორგანომ. შეამდგომლობას ასევე უნდა დაერთოს მაკონტროლებელი ორგანოს სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ცნობის ასლი, რომელსაც შესაბამისი უწყების მაკონტროლებელ ორგანოდ რეგისტრაციაში გატარებისას გასცემს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. თუ ეს ცნობა არ დაერთო შეამდგომლობას, სასამართლო გამოიტანს განჩინებას ხარვეზის შესახებ და წარმოებაში არ მიიღებს შეამდგომლობას.

გამონაკლის შემთხვევაში, ორცა შესაძლებელია საფრთხე შეექმნას სახელმწიფო უშიშროებას, ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ანდა მტკიცებულებებს, მაკონტროლებელ ორგანოს უფლება აქვს სასამართლოსადმი მიმართვის გარეშე შეაჩეროს მეწარმის საქმიანობა შემოწმების საგნის ნაწილში და ამის შემდეგ დაუყოვნებლივ (იმავე დღეს ან თუ ეს ვერ ხერხდება არა უგვიანეს მომდევნო დღისა) მიმართოს მოსამართლეს შემოწმების შესახებ ბრძანების მისაღებად. თუ საწარმოს საქმიანობის შეჩერება შეუძლებელია ან იგი მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს მეწარმეს ანდა შეჩერების წინააღმდეგია მეწარმე, მაკონტროლებელი ორგანო უფლებამოსილია დაიწყოს მეწარმის შემოწმება და 24 საათის განმავლობაში მიმართოს მოსამართლეს შეამდგომლობით დაწყებული შემოწმების კანონიერად ცნობისა და შემოწმების შესახებ ბრძანების გაცემის თხოვნით. ასეთ შემთხვევაში მაკონტროლებელი ორგანო ვალდებულია სასამართლოსადმი გაგზავნილ შეამდგომლობაში დაასაბუთოს თუ რაში მდგომარეობდა შემოწმების გადაუდებელი აუცილებლობა, რამაც განაპირობა შემოწმების დაწყება მოსამართლის ბრძანების მიღებამდე.

მოსამართლე შეამდგომლობას განიხილავს მაკონტროლებელი ორგანოსა და მეწარმის თანდასწრებით და იღებს გადაწყვეტილებას შეამდგომლობის წარდგენიდან 24 საათის განმავლობაში. შეამდგომლობის განხილვისას მეწარმეს ანდა მის წარმომადგენელს ეძლევა შესაძლებლობა მისცეს განმარტებები და ჩამოაყალიბოს საწინააღმდეგო მოსაზრებები. მოსამართლე ბრძანებას მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ გასცემს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მაკონტროლებელი ორგანო მას წარუდგენს შესაბამის ინფორმაციას დასაბუთებული და საფუძლიანი ეჭვით მეწარმის მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის შესახებ. თუ არ არსებობს მეწარმის საქმიანობის ფორმალური და ფაქტობრივი საფუძლები, მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება მეწარმის შემოწმებაზე უარის თქმის შესახებ. თუ მეწარმის საქმიანობის შემოწმება სასამართლოსადმი

მიმართვამდე დაწყებული იყო და მოსამართლე გამოიტანს დადგენილებას მეწარმის შემოწმებაზე უარის თქმის შესახებ, მაშინ მეწარმის შემოწმება დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს. ასეთ შემთხვევაში მეწარმეს უფლება აქვს მოსთხოვოს მაკონტროლებელ ორგანოს შემოწმებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მოსამართლის მიერ შუამდგომლობის დაკმაყოფილება და მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ ბრძანების მიღება არ არის მაკონტროლებელი ორგანოს მიერ კონტროლის ავტომატურად დაწყების საფუძველი; ამისათვის საჭიროა მოსამართლის მიერ მიღებული ბრძანება შევიდეს კანონიერ ბალაში ანუ უნდა გავიდეს ბრძანების გასაჩივრების ვადა. ბრძანების გასაჩივრება აჩერებს მის ძალაში შესვლას. მოსამართლის ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მხარის მიერ შესაბამის საოლქო სასამართლოში ბრძანების ასლის მიღებიდან 24 საათის განმავლობაში. საოლქო სასამართლო საქმეს განიხილავს საჩივრის შეტანიდან 3 დღის განმავლობაში. საოლქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და იგი არ გასაჩივრდება უზენაეს სასამართლოში.

თუ მოსამართლის მიერ მიღებულია დადგენილება მეწარმის შემოწმებაზე უარის თქმის შესახებ, მაშინ მაკონტროლებელ ორგანოს იგივე ვადაში და წესით შეუძლია ეს დადგენილება გაასაჩივროს საოლქო სასამართლოში. ასეთ შემთხვევაში დაწყებული შემოწმება შეჩერდება და მისი შემდგომი გაგრძელების ან შეწყვეტის ბედი დამოკიდებული იქნება საოლქო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე.

კონტროლის სისტემის სრულყოფის, გამოვლენილი ნაკლოვანებების თავიდან აცილებისა და სახელმწიფოში მეწარმეებზე განხორციელებული კონტროლის თაობაზე ერთიანი სტატისტიკური მონაცემების უზრუნველყოფის მიზნით თითოეული მაკონტროლებელი ორგანო ვალდებულია ყოველი წლის 25 იანვრამდე წარუდგინოს საქართველოს პრეზიდენტს და საქართველოს პარლამენტს ანგარიში გასული წლის განმავლობაში ბრძანების გაცემის შესახებ სასამართლოში წარდგენილი შუამდგომლობების, სასამართლოს მიერ გაცემული ბრძანებების რაოდენობისა და მოსამართლის ბრძანების საფუძველზე განხორციელებული შემოწმების შედეგების შესახებ.

დღეს-დღეობით გაოლოგის დეარტამენტს კონტროლი არ განუხორციელება არც მრთი სალიცენზიო პირობების შესრულებაზე, ამას დეარტამენტი იმით ხსნის, რომ გენარლი უმრავლესობის დიცენზის მიღებიდან არ გასულა დღი.

## კონტროლის სისტემაში არსებული პრობლემა

„გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის მიხედვით ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების შესრულებაზე კონტროლი ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე, რაც ეწინააღმდეგება „სამეწარმეო

საქმიანობის“ კონტროლის შესახებ კანონს, რომლის მიხედვით კონტროლი სალიცენზიო პირობებზე უნდა შესრულდეს მხოლოდ სათანადო ეჭვის საფუძველზე სასამართლოს დადგენილებით.

გეოლოგიის დეპარტამენტის პოზიციით, ზემოთ ხსენებული მუხლი არ ეწინააღმდეგება „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ კანონს“, რამეთუ ამ კანონის მე-2 მუხლის ბ) პუნქტის მიხედვითაც სამეწარმეო საქმიანობის კონტროლს არ წარმოადგენს ბუნებრივი რესურსების სარგებლობის შემოწმების მიზნით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული საქმიანობა.

გარდა ამისა „წიაღის შესახებ“ კანონის მიხედვით წიაღით სარგებლობის სახელმწიფო ზედამხედველობას და კონტროლს ექვემდებარება:

- ნებისმიერი წიაღით მოსარგებლის მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია წიაღით სარგებლობასთან;
- წიაღის შესწავლის ნებისმიერი სტადია;
- ჰიდროგეოლოგიური სამუშაოები;
- საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები;
- გეოფიზიკური სამუშაოები;
- გეოქიმიური სამუშაოები;
- გეოეკოლოგიური სამუშაოები;
- წიაღის შესწავლის სამუშაოთა მიმართულება, მეთოდიკა, კომპლექსურობა და ხარისხი;
- წიაღით სარგებლობის სამუშაოთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- წიაღით სარგებლობის ობიექტების კონსერვაცია და ლიკვიდაცია;
- წიაღით სარგებლობის კანონიერებისა და ლიცენზიით განსაზღვრული პირობების დაცვა;
- წიაღით სარგებლობის ნებისმიერ სტადიაში წიაღით სარგებლობის სტანდარტების, ნორმებისა და წესების მოთხოვნათა შესრულება;
- წიაღის შესწავლის მიმართულება, მეთოდიკა, კომპლექსურობა და ხარისხი;
- წიაღით სარგებლობის დროს სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების წესებისა და ნორმების დაცვა;
- იმ ღონისძიებათა სისწორე და დროულობა, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის უსაფრთხოებას, ბუნებრივი გარემოს, ისტორიისა და კულტურის ძეგლების, შენობებისა და ნეგებობების, მოქმედი და დაკონსერვებული სამთო გვირაბებისა და ჭაბურღლილების დაცვას წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა მავნე გავლენისგან.

„წიაღის შესახებ“ პარონის მიხედვით გეოლოგიის დეპარტამენტს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან ერთად უფლება ამჭელი:

- ✓ გააკრიტიკოს გეოლოგიურ სამუშაოთა მიმართულება, მეთოდიკა კომპლექსურისა და ხარისხი;
- ✓ შეაჩრდის გეოლოგიური-სამიერო სამუშაოები, თუ ისინი არ შეასაბამება დადგენილ ნორმებს, ზესას, სტანდარტებსა და მოთხოვნებს.

კონტროლის ეს სახე არის გეოლოგიური სამუშაოების და არა სალიცენზიო პირობების კონტროლი, მაგრამ ის სრულიად მოიცავს სალიცენზიო პირობების კონტროლის ფუნქციას. დეპარტამენტის განმარტებით ეს უფლებამოსილება საშუალებას აძლევს მას კონტროლის ქვეშ იყოლიოს ორგორც სამეწარმეო, ისე არასამეწარმეო სექტორი. ისმება კითხვა: თუ გეოლოგიური სამუშაოების მიმდინარეობაზე კონტროლი არ წარმოადგენს სალიცენზიო პირობების კონტროლს, მაშინ რატომ არის გეოლოგიის დეპარტამენტი რეგისტრირებული მაკონტროლებელ ორგანოთა სახელმწიფო რეესტრში?

აუცილებელია მოხდეს სალიცენზიო პირობების შესრულებაზე კონტროლისა და გეოლოგიური სამუშაოების კონტროლის ბაზიზნა და მს უდია დარებულირებს განვითარებით, რათა მეწარმეებმა სახელმწიფო ორგანოების თვითნებობისგან უფრო დაცულად იბრძონო თავი.

### გეოლოგიური სამუშაოების კონტროლის მიმდინარეობაზე კონტროლის ბანხორციელებისას მეწარმეთა და კონტროლის ბანხორციელებაზე უფლებამოსილ პირთა უფლება-მოვალეობები

კონტროლის დროს მეწარმეთა და კონტროლის განმახორციელებელ პირთა უფლება-მოვალეობები რეგულირდება საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2002 წლის 17 ივნისის ბრძანებით „გეოლოგიური სამუშაოების მიმდინარეობაზე კონტროლის განხორციელებისას მეწარმეთა და კონტროლის განხორციელებაზე უფლებამოსილ პირთა უფლება-მოვალეობები“-ს შესახებ, რომლის მიხედვით გეოლოგიური სამუშაოების მიმდინარეობაზე კონტროლს ახორციელებს გეოლოგიის დეპარტამენტი „წიაღის შესახებ“, „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ კანონებისა და „მაკონტროლებელ ორგანოთა უფლებამოსილებათა გამიჯვნისა და კონტროლის განხორციელების წესის შესახებ“ კანონპროექტის შესაბამისად.

ბრძანებაში მითითებული „მაკონტროლებელ ორგანოთა უფლებამოსილებათა გამიჯვნისა და კონტროლის ბანხორციელების წესის შესახებ“ კანონი არის მხოლოდ კანონირობის სახით, რომელიც პარლამენტს არ მიუღია, გაუგებარია, როგორ უდია ეფუძნებოდეს დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანება პარლამენტის კანონის განვითარების და მიმდინარეობის მიზანისათვის.

გეოლოგიური სამუშაოების მიმდინარეობაზე კონტროლის მიზანს წარმოადგენს წიაღით მოსარგებლის მიერ წიაღით სარგებლობისა და გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზიებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესრულების მდგომარეობის დადგენა, გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების წარმოების პროცესში ძირითადი და თანმხელები სასარგებლო წიაღისეულის მარაგების რაოდენობისა და ხარისხის განსაზღვრულ მონაცემთა სისრულისა და უტყუარობის დადგენა.

გეოლოგიურ სამუშაოთა მომდინარეობაზე კონტროლის განმახორციელებელ უფლებამოსილ თანამდებობის პირს უფლება აქვს:

- წიაღით მოსარგებლის მიერ წიაღით სარგებლობის და გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზიის პირობების დარღვევის შემთხვევაში დააყენოს

საკითხი ლიცენზიების გამცემი ორგანოების წინაშე ლიცენზიების შეჩერების და გაუქმების შესახებ;

2002 წელს, როდესაც გამოიცა ზემოაღნიშვნული პრესენტა, გეოლოგიური საქმიანობის ბარებებს სახელმწიფო, კემოლ საინიციატი-გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ საქმიანობაზე ლიცენზიას გასცემდა მშენებლობისა და ურანიზაციის სამინისტრო, შესაბამისად მასშე უძრა განხორციელებინა კონტროლი სალიცენზიო პირობების შესრულებაზე, გეოლოგიური სამშპაონების მიმღინარეობაზე კონტროლის დროს სალიცენზიო პირობების შესრულება სცდებოდა გეოლოგიის დეპარტამენტის კომანდოების, რაღაც სალიცენზიო პირობების კონტროლი მას პარონით არ ჰქონდა მინიჭებული.

- გამოითხოვოს მეწარმისა და მის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირებისგან ახსნა-განმარტებები გეოლოგიური სამუშაოების წარმოების წესების, ნორმების და მოთხოვნების დარღვევების საკითხებთან დაკავშირებით;
- მოითხოვოს მეწარმეთაგან გეოლოგიური სამუშაოების მიმდინარეობასთან დაკავშირებული ყველა სახის დოკუმენტაცია;
- გეგმური კონტროლის ღონისძიებათა განხორციელებისას გამოვლენილ იმ დარღვევებზე, რომლებიც არ შედიან მათ კომპეტენციაში, მიაწოდონ ინფორმაცია შესაბამის მაკონტროლებელ ორგანოს.

კონტროლის გეგმიურობასთან დაკავშირებით გეოლოგიის დეპარტამენტი არ არსებობს მრავალი კონტროლის კონტროლის განვითარებით კონტროლისთვის ბეგან ზოგიერთ შემთხვევაში დგგა ინდივიდუალურად თვითოვებული ფიას სამშპაონესთვის მისი ხასიათიდან გამომდინარე, ზოგიერთ შემთხვევაში კი კონტროლი ხორციელდება პოვლებარი ბეგმის გარეშე, ეპისტოლი დროს – დეპარტამენტის გადაწყვეტილებით.

გეოლოგიური სამუშაოების მიმდინარეობაზე კონტროლის განხორციელებაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირები ვალდებული არიან:

- დროულად და სრულად განახორციელონ თავიანთი უფლებამოსილებანი;
- დაიცვან კანონმდებლობის მოთხოვნები, სხვა პირთა უფლებები და კანონიერი ინტერესები;
- კონტროლი განახორციელონ გეოლოგიის დეპარტამენტის მოთხოვნათა მკაცრი დაცვით;
- განახორციელონ კონტროლის ღონისძიებები საწარმოს ხელმძღვანელის ან წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის თანდასწერებით, მისცემ მათ განმარტებები და აუცილებელი ინფორმაცია გეოლოგიური სამუშაოების მიმდინარეობაზე კანონმდებლობით (კანონები, დებულებები, ინსტრუქციები) დადგენილი წესის შესახებ;
- მეწარმეს ან მის წარმომადგენლებს გააცნონ კონტროლის ღონისძიებების განხორციელების შედეგები.

მეწარმე ან მის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები გეოლოგიური სამუშაოების მიმდინარეობაზე კონტროლის ღონისძიებათა განხორციელებისას უფლებამოსილი არიან:

- დაუბრკოლებლად დაესწრონ კონტროლის ღონისძიებათა განხორციელების პროცესს, მისცემ განმარტებები შემოწმების საგანთან დაკავშირებულ საკითხებზე;

- მიიღონ ინფორმაცია გეოლოგიური სამუშაოების წარმოებაზე კანონმდებლობის მოთხოვნათა შესახებ;
- გაეცნონ კონტროლის შედეგებს და მიუთითონ ამის შესახებ გეოლოგიურ სამუშაოთა მიმდინარეობაზე კონტროლის განხორციელების აქტში, გამოთქვან თავიანთი აზრი შემოწმების შედეგის და კონტროლის განმახორციელებელი პირის ცალკეული მოქმედების მიმართ;
- გაასაჩივრონ გეოლოგიური სამუშაოების მიმდინარეობაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირების ქმედება გეოლოგის დეპარტამენტში.

**გეოლოგიური სამუშაოების მიმდინარეობაზე კონტროლის დოკუმენტი**  
**განხორციელებათა განხორციელებისას მეზარებელია გალერეაზე**  
**უზრუნველყოს კონტროლის განხორციელებაზე უფლებამოსილ პირთათვის კონტროლის განხორციელებისთვის საჭირო ზოლა სახის მასალის მიზრადა.**

## ბასაჩიგრების წესი

ლიცენზიის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ, მათი მოქმედების შეჩერების ან განახლების ანდა გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება (ადმინისტრაციული აქტი) შეიძლება გასაჩივრდეს. გასაჩივრებას ექვემდებარება ასევე ლიცენზიის გამცემი ორგანოს ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა).

ადმინისტრაციული საჩივარი შეიტანება ლიცენზიის გამცემი ორგანოს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში (თანამდებობის პირთან).

- ✓ გეოლოგიური სამიანობის ლიცენზირებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული საჩივარი შეიტანება გარემოს დაცვისა და გუებრივი რესურსების სამინისტროში.

ადმინისტრაციული სარჩელი შეიტანება ლიცენზიის გამცემი ორგანოს ადგილმდებარეობის შესაბამის რაიონულ სასამართლოში.

- ✓ განმოხადებელს უფლება ამჟა გადაწყვეტილების ზემდებრების ადმინისტრაციულ რეგისტრი გასაჩივრების გარეშე ზემდებრების მიმართოს სასამართლოში.
- ✓ თუ განმოხადებელი ვიზიტური პირი გადაწყვეტილებას ჯერ გაასაჩივრებს ზემდებრები ადმინისტრაციულ რეგისტრი და შემდებრები წარადგენს სარჩელს სასამართლოში, იგი თავისუფლება სახელმწიფო გაშისაბან.
- ✓ პრემიუმია დაფინანს სახელმწიფო ბაზი ან რაიონ გადასახადი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისათვის.

## სამინისტროში ბასაჩიგრება

ადმინისტრაციული საჩივარი უნდა იყოს წერილობითი ფორმის, სადაც აღინიშნება:

- ა) ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) დასახელება, რომელშიც შეიტანება საჩივარი;
- ბ) საჩივრის წარმდგენი პირის ვინაობა და მისამართი;
- გ) ლიცენზიის გამცემი იმ ორგანოს (თანამდებობის პირის) დასახელება, რომლის ადმინისტრაციული აქტი ან მოქმედება საჩივრდება;
- დ) გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასახელება;
- ე) მოთხოვნა;
- ვ) გარემოებაზე, რომლებსაც მოთხოვნა ეფუძნება;
- ზ) საჩივარზე თანდართული საბუთების ნუსხა, თუ საჩივარს ახლავს რაიმე დოკუმენტი.

- ✓ ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილი უნდა იქნას ადმინისტრაციული აქტის გამოქვეყნების ან რეგისტრი წესით მისი გაცემის დღიდან 1 თვის გადასახადი.
- ✓ იმავე წესით გასაჩივრდება ლიცენზიის გამცემი ორგანოს მიერ განვითარებისა და მდგრადი განვითარების მინისტრის შესრულებლობა.

სამინისტრო არ განიხილავს საჩივარს, თუ:

- ა) არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება მოცემულ საქმესთან დაკავშირებით;
- ბ) სასამართლოში იხილება დავა იმავე მხარეებს შორის და იმავე საკითხზე;
- გ) არსებობს ამ ორგანოს გადაწყვეტილება იმავე საკითხზე;
- დ) საჩივარი შეიტანა ქმედულნარო პირმა;
- ე) საჩივარი შეიტანა არაუფლებამოსილმა პირმა;
- ვ) გასულია ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი ერთოვიანი ვადა.

სამინისტრო საჩივრის განხილვის (წარმოებაში მიღების) შესახებ გადაწყვეტილებას იღებს წარდგენიდან 5 დღეში<sup>2</sup>. მანამდე, საჩივრის წარმდგენ პირს აძლევს საკუთარი მოსაზრების წარდგენის უფლებას.

სამინისტრო საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს ერთი თვის ვადაში. თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების დადგენისათვის აუცილებელია ერთ თვეზე მეტი, მაშინ სამინისტრო უფლებამოსილია, საჩივრის მიღებიდან არა უგვიანეს 7 დღისა გამოიტანოს დასაბუთებული გადაწყვეტილება საჩივრის განხილვის ვადის ერთი თვით გაგრძელების შესახებ, რაც დაუყოვნებლივ ეცნობება მომზადებას<sup>3</sup>.

სამინისტროს საჩივრის განხილვის შედეგად გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

- 1. საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ;
- 2. საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;
- 3. საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ.

- ✓ სამინისტროს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილის საოლქო სასამართლოში.

## სასამართლოში გასაჩივრება

სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს ადმინისტრაციული აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაცნობიდან 6 თვის ვადაში<sup>4</sup>.

სარჩელში უნდა აღინიშნოს:

- 1. სასამართლოს დასახელება, რომელშიც შედის სარჩელი;
- 2. მოსარჩელის ვინაობა და მისამართი;
- 3. მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება და მისამართი, რომლის აქტიც საჩივრდება;
- 4. მოსარჩელის მოთხოვნა;
- 5. გარემოებები, რომლებსაც ემყარება მოსარჩელის მოთხოვნა;
- 6. მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს;
- 7. სარჩელზე დართული საბუთების ნუსხა.

- ✓ ლიცენზიის თაობაზე გადაწყვეტილების გასაჩივრება არ იჭვებს მისი მოქმედების შეჩერებას, თუ სამინისტრო ან სასამართლო არ მიიღებს სხვა გადაწყვეტილებას.

<sup>2</sup> ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 182-ე მუხლი, მე-2 ნაწილი;

<sup>3</sup> ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 183-ე მუხლი, მე-3 ნაწილი.

<sup>4</sup> ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 22-ე მუხლი, მე-3 ნაწილი.

## სალიცენზიო რეჟისტრი

### სალიცენზიო რეჟისტრი და ინფორმაციის მიღების წესი

სალიცენზიო რეჟისტრი არის საჯარო ნუსხა იმ ფაქტებისა, რომელთაც სამართლებრივი მნიშვნელობა ენიჭება. რეჟისტრის შექმნის მიზანია შეიქმნას ლიცენზიის თაობაზე ერთიანი საინფორმაციო ბაზა. სალიცენზიო რეჟისტრში შეიტანება მონაცემები ლიცენზიის გაცემის, მათში ცვლილებების შეტანის, მათი მოქმედების შეჩერებისა და განახლების და გაუქმების შესახებ; ასევე, ინფორმაცია ლიცენზიის დუბლიკატის გაცემის შესახებ.

სალიცენზიო რეჟისტრი 2 სახისაა:

1. უწყებრივი სალიცენზიო რეჟისტრი, რომელსაც აწარმოებს ლიცენზიის გამცემი უწყება;
2. სახელმწიფო სალიცენზიო რეჟისტრი, რომელსაც აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

ლიცენზიის გამცემს უწყებრივ სალიცენზიო რეჟისტრში ლიცენზიის გაცემის, მათში ცვლილებების შეტანის, მათი მოქმედების შეჩერებისა და განახლების, მისი გაუქმებისა და დუბლიკატის გაცემის შესახებ მონაცემები შეაქვს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 2 დღის ვადაში. რეჟისტრში შეიტანება ლიცენზიის მფლობელი სუბიექტის რეგისტრაციის მონაცემები: სახელწოდება, მისამართი, მარეგისტრირებელი უწყება და ა.შ. ასევე, ლიცენზიის სახე, ნომერი და გაცემის თარიღი. რეჟისტრში შეტანას ექვემდებარება რეჟისტრული მონაცემების ყოველი ცვლილება, რომელიც შესაბამისი ცვლილების განხორციელებიდან 7 დღის ვადაში უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემ სამსახურს.

ლიცენზიის გამცემი ვალიდებულია უწყებრივ სალიცენზიო რეჟისტრში შეტანილი მონაცემები უწყებრივ რეჟისტრში შეტანიდან 10 დღის ვადაში გადასცეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, რათა მან მოახდინოს მისი სახელმწიფო სალიცენზიო რეჟისტრში შეტანა.

სალიცენზიო რეჟისტრი საჯაროა და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს (ფიზიკურს თუ იურიდიულს) შეუძლია მოითხოვოს საჯარო დაწესებულებიდან საჯარო ინფორმაცია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის საფუძველზე. თვით საჯარო ინფორმაციას კი წარმოადგენს რეჟისტრში განხორციელებული ჩანაწერი, რომელიც დაცულია საჯარო დაწესებულებაში ან მიღებულია, დამუშავებულია ან შექმნილია საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ.

გარდა რეჟისტრში შეტანილი ინფორმაციისა, პირი უფლებამოსილია გამოითხოვოს სხვა ინფორმაციაც. ყოველგვარი ინფორმაციის მიღება შეუძლებელია. დაუშვებელია გაიცეს ისეთი ინფორმაცია, რომელიც მიეკუთვნება საიდუმლო ინფორმაციათა კატეგორიას. ასეთად კი, მიწნეულია საჯარო დაწესებულებაში დაცული, საჯარო დაწესებულების ან მისი

მოსამსახურის მიერ სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს პირად, კომერციულ, პროფესიულ ან სახელმწიფო საიდუმლოებას.

✓ ლიცენზის შესახებ რეჟისტრში შეტანილი მონაცემები არ მიაგზავნება საიდუმლო ინფორმაციას.

– პირად საიდუმლოებად პერსონალური მონაცემების მიჩნევის ცალკეული შემთხვევები განისაზღვრება კანონით. გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, თვითონ პირს შეუძლია მოსთხოვოს საჯარო დაწესებულებას მისი პერსონალური მონაცემების გასაიდუმლოება.

– კომერციული საიდუმლოება არის ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად ანდა რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, ასევე ინფორმაცია, რომლის გამუდარებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.

✓ საჯარო დაწმებულებაში ინფორმაციის ფარდგენისას პირი გადატანილია მიზთითოს, რომ ინფორმაცია მისი კომერციული საიდუმლოებაა, რომელსაც საჯარო დაწმებულება 10 დღის გადაში მიიჩნევს კომერციულ საიდუმლოდ. უარი შეიძლება გასაჩივრდში ზემდგომ აღმინისტრაციულ ორგანოში (თუმცი ასეთი არსებობს) ან პირდაპირ სასამართლოში.

– პროფესიულ საიდუმლოებას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს სხვის პირად ან კომერციულ საიდუმლოებას და პირისათვის ცნობილი გახდა პროფესიული (სამსახურეობრივი) მოვალეობის შესრულებისას. თუ ინფორმაცია არ განეკუთვნება პირად ან კომერციულ საიდუმლოებას, მაშინ იგი არ შეიძლება იყოს პროფესიული საიდუმლოება.

– სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც მოიცავს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ცნობებს თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობის, სახელმწიფო უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში, რომელთა გამუდარებას ან დაკარგვას შეუძლია ზიანი მიაყენოს საქართველოს სუვერენიტეტს, კონსტიტუციურ წყობილებას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს.

ეკონომიკის სფეროში „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით სახელმწიფო საიდუმლოებად ითვლება:

- 1) სახალხო მეურნეობის სამობილიზაციო გეგმებისა და სიმძლავრეების, სამხედრო დანიშნულების სტრატეგიული ნედლეულისა და მასალების მარაგისა და მიწოდების მოცულობათა, აგრეთვე სახელმწიფო და სამობილიზაციო რეზერვების განლაგებისა და მოცულობის შესახებ;
- 2) ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ქვეყნის ინფრასტრუქტურის სხვა დარგებისა და ობიექტების დაცვის სისტემისა და რეჟიმის შესახებ, მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის;
- 3) ოქროს საერთო მარაგში შემავალი მონეტარული ჯგუფის – ძვირფასი ლითონების, ძვირფასი ქვების და სხვა ფასეულობათა – სახელმწიფო მარაგის კონკურეტულ სახეობათა შესახებ, ფულის ნიშნებისა და ფასიანი ქაღალდების დამზადების, შენახვის, დაცვისა და გაყალბების

თავიდან აცილებასთან, მიმოქცევასთან, გაცვლასთან ან მიმოქცევიდან ამოღებასთან დაკავშირებული ოპერაციების თაობაზე. სახელმწიფო სავალუტო ფონდისა და ოქროს საერთო მარაგი არ მიეკუთვნება სახელმწიფო საიდუმლოებას.

აკრძალულია სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნოს ნებისმიერი ცნობა, რომლითაც შეიძლება შეილახოს ან შეიზღუდოს ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, ზიანი მიადგეს მოსახლეობის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას.

სასამართლოს მხარის შუამდგომლობით უფლება აქვს გამოითხოვოს და განიხილოს გასაიდუმლოებული საჯარო ინფორმაცია მისი მთლიანი ან ნაწილობრივი გასაიდუმლოების კანონიერების შესწავლის მიზნით. სასამართლოს უფლება აქვს ეს განხილვა აწარმოოს დახურულ სხდომაზე.

## 06 ფორმაციის მოთხოვნის ფორმა

ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია, რომლისთვისაც იგი წარადგენს განცხადებას წერილობითი ფორმით. პირს უფლება აქვს აირჩიოს ინფორმაციის მიღების ფორმა (წერილობით თუ ზეპირად), გაეცნოს ინფორმაციას დედანში ან მას უნდა წარედგინოს იგი სათანადო წესით დამოწმებული ასლის სახით. ამა თუ იმ ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ წერილობით განცხადებაში არ არის აუცილებელი მითითებული იქნეს ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი.

დაუშვებელია დაწესებულ იქნეს რაიმე საფასური საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის, გარდა ასლის გადაღებისათვის აუცილებელი თანხის ანაზღაურებისა.

## 06 ფორმაციის გაცემა ან უარის თქმა მასზე

საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს ინფორმაცია ან უარი თქვას ინფორმაციის გაცემაზე დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:

- 1) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;
- 2) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას;
- 3) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.

თუ ინფორმაციის გაცემისათვის საჭიროა 10-დღიანი ვადა, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოთხოვნისთანავე (განცხადების შემოტანისას) აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას, საჯარო დაწესებულება გალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში განმცხადებელს განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი.

## ლიცენზიის მფლობელი საჭარმოების რეორგანიზაცია

ლიცენზიის (სალიცენზიო მოწმობის) გადაცემასთან დაკავშირებით ყურადება უნდა გავამახვილოთ საწარმოს რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის მომენტებზე, განსაკუთრებით კი, რეორგანიზაციის სახეებზე და ლიცენზიების ბეჭდებზე აღნიშნულ შემთხვევებში.

ლიკვიდაციის შემთხვევაში საწარმო უქმდება და ბუნებრივია, მასზე გაცემული ლიცენზია ავტომატურად ძალადაკარგულია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ლიკვიდაცია არ არის ერთჯერადი აქტი და არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ამ დროს საწარმო მხოლოდ ამოიშლება რეესტრიდან. საწარმოს ლიკვიდაცია – ესაა პროცესი, სადაც ინიშნება ლიკვიდატორი, დაინდება კრედიტორების მოთხოვნები, დებიტორები, საწარმო ჩვეულებრივ განაგრძობს ფუნქციონირებას და მიმდინარე საქმეების დასრულების, ყველა მოთხოვნის დადგენისა და ვალდებულების გასტუმრების შემდეგ მარეგისტრირებელი უწყება ამოშლის მას რეესტრიდან. ლიკვიდაცია შეიძლება რამდენიმე წელიც გაგრძელდეს;

რეორგანიზაცია მოიცავს რამდენიმე სახეს, რომელთაც დამოუკიდებელი სამართლებრივი მნიშვნელობა ენიჭება:

- **შეერთება (შერწყმა)** – ორი ან მეტი დამოუკიდებელი საწარმო ერთიანდება ერთ საწარმოდ. ასეთ შემთხვევაში წინამორბედი 2 საწარმოს მიერ აღებული ლიცენზიები გადაეცემა უფლებამონაცვლეს და იგი არ საჭიროებს ახალი ლიცენზიის აღებას, თუმცა საწარმოების რეგისტრაციის შეერთების შედეგად წარმოქმნილი ახალი საწარმოს რეგისტრაციიდან 7 დღის ვადაში უნდა აცნობოს ლიცენზიის გამცემ ორგანოს, რათა მოახდინოს რეესტრული მონაცემების ცვლილება;
- **მიერთება** – არსებობს რამდენიმე დამოუკიდებელი საწარმო, რომლებიც უერთდებიან ერთ საწარმოს. ასეთ შემთხვევაშიც საწარმო არ საჭიროებს ლიცენზირებას და საჭიროა მხოლოდ ზემოაღნიშნული წესით რეესტრული მონაცემების ცვლილება;
- **გაყოფა** – ერთი საწარმო იყოფა ორ ან მეტ დამოუკიდებელ საწარმოდ. ასეთ შემთხვევაში გაყოფამდე აღებული ლიცენზია გადაეცემა ერთ-ერთს, ხოლო თუ დანარჩენ საწარმოებსაც სურთ ლიცენზირებადი საქმიანობის დაწყება, კანონით დადგენილი წესით უნდა მიიღონ ლიცენზია. იმ საწარმოს კი, რომელსაც გადაეცა გაყოფამდე მიღებული ლიცენზია, ეკისრება ვალდებულება მიმართოს ლიცენზიის გამცემ ორგანოს რეესტრული მონაცემების ცვლილებების განსახორციელებლად;
- **გამოყოფა** – არსებობს ერთი საწარმო და მას გამოყოფა ერთი ან რამდენიმე საწარმო. საწარმო კვლავ განაგრძობს ფუნქციონირებას, მას რჩება ლიცენზია და არ წარმოეშობა რეესტრული ცვლილებების თაობაზე ლიცენზიის გამცემისათვის მიმართვის ვალდებულება.

გამოყოფილმა საწარმოებმა უნდა მიმართონ ლიცენზიის გამცემს კანონით დადგენილი წესით ლიცენზიის მისაღებად, თუ ისინი აპირებენ ლიცენზირებადი საქმიანობის დაწყებას;

- **გარდაქმნა** – არსებობს ერთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო (მაგ. სააქციო საზოგადოება) და იგი გარდაიქმნება სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოდ (მაგ. შპს-დ). ასეთ შემთხვევაში ლიცენზიის ხელახლა აღება საჭირო არ არის და საჭიროა მხოლოდ რეესტრული მონაცემების ცვლილება.

## პასუხისმგებლობა

ცალკე აღსანიშნავია პასუხისმგებლობის საკითხი, რომელიც გათვალისწინებულია ლიცენზიის გარეშე საქმიანობისათვის. დარღვევის ხასიათისა და ხარისხის შესაბამისად დაწესებულია ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის საკმარისია მხოლოდ ლიცენზიის გარეშე საქმიანობის ფაქტი, მაშინ როდესაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის მხოლოდ საქმიანობის ფაქტი არ არის საკმარისი; დამატებით აუცილებელია ლიცენზიის გარეშე საქმიანობის შედეგად მნიშვნელოვანი ზიანი იქნეს გამოწვეული, რაც თავის მხრივ შეფასებასა და მტკიცებას მოითხოვს ან სახეზე უნდა იყოს მეწარმის მიერ დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია ლიცენზიის გამცემი ორგანოების მოხელეების საქმიანობაზეც, თუ ისინი დაუსაბუთებლად უარს ეტყვიან ლიცენზიის მაძიებელს ან მისი გაცემის შემდეგ განახორციელებენ სალიცენზიო პირობების შემოწმებას კონტროლის მომწესრიგებელი კანონმდებლობის დარღვევით, რაც მეწარმისათვის მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევს.

## ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა

### სამეწარმეო საქმიანობის წესის დარღვევა

უნდართვოთ ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელიც ლიცენზიას საჭიროებს –

**გამოიწვევს დაჯარიმებას რომასილა ხუთას ლარამდე.**

/ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 164/

## სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

## შეანონო სამეწარმეო საქმიანობა

1. სამეწარმეო საქმიანობა რეგისტრაციის ან ლიცენზიის გარეშე ანდა ლიცენზირების პირობის დარღვევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია ან რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება –  
ისჯება ჯარიმით ან ფუსაღობით გადით ოთხ თვემდე ანდა თავისუფლების აღვეთით გადით ორ წლამდე.
2. იგივე ქმედება, ჩადენილი:
  - ა) ჯგუფურად;
  - ბ) არაერთგზის;
  - გ) ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ –  
ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღვეთით გადით ხუთ წლამდე.

/სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 192/

## კანონიერი სამეწარმეო საქმიანობისათვის ხელის შემლა

დაუსაბუთებლად უარის თქმა საწარმოს რეგისტრაციაზე ან ლიცენზიის გაცემაზე, ანდა მისი ეკონომიკური საქმიანობის უფლების ან თავისუფლების შეზღუდვა, საწარმოს საქმიანობაზე კონტროლის კანონმდებლობის დარღვევით განხორციელება, აგრეთვე მის საქმიანობაში ჩარევა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია –  
ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით გადით ასოციაცია ას ოთხმოც საათამდე ანდა ფუსაღობით გადით სამ თვემდე, თანამდებობის დაკავშირის ან საქმიანობის უფლების ჩამორთმებით გადით სამ წლამდე.

/სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 190/

## მეჯარმეთა გამოკითხვის პირითადი შედეგები

გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზირების პრაქტიკული ხასიათის პრობლემებისა და მეწარმეთა დამოკიდებულების შესწავლის მიზნით გამოკითხულ იქნა სფეროში დასაქმებული 7 მეწარმე. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე პერიოდში აღნიშნულ სფეროში მოღვაწეობს მხოლოდ 17 მეწარმე.

გამოკითხვის შედეგებმა გვიჩვენა, რომ სალიცენზიო პირობები მეწარმეთა უმრავლესობისთვის ერთი შეხედვით პრობლემას არ წარმოადგენს. თუმცა მათ უმრავლესობას მხოლოდ ერთი სახის ლიცენზია გააჩნია და მეორე სახის გეოლოგიურ საქმიანობას ეწევა ლიცენზიის გარეშე, რადგან სალიცენზიო მოსაკრებელი მათი შეფასებით ძალიან მაღალია. გამოკითხულთაგან ყველა მეწარმისთვის მისაღებია ლიცენზიის მოქმედების შეჩერების/განახლების და გაუქმების პირობები; თუმცა, მათი საქმიანობის განმავლობაში ჯერჯერობით ასეთ პრეცენდენტებს ადგილი არ ქონიათ და უნდა ვივარაუდოთ რომ ახალი კანონით დადგენილი პირობები მათვის დეტალურად ცნობილი არაა.

გარდა ამისა, პრობლემატურად დასახელდა სალიცენზიო პირობების შესრულება, ერთ-ერთმა მეწარმემ უკმაყოფილება გამოთქა, რომ წესები, მოთხოვნები და სტანდარტები, რომელთა დაცვაც ლიცენზიის მფლობელებს ევალებათ, მოძველებულია და მოითხოვს შემუშავებას.

გამოკითხულთაგან რამდენიმე მეწარმე თვლის, რომ გეოლოგის სფეროში პრობლემას წარმოადგენს ლიცენზიის გაცემის და მისი მოქმედების პროცედურული საკითხების არასათანადო გამჭირვალობა. ასევე, მეწარმეთა აზრით, კანონში არსებულ დებულებებს არ ითვალისწინებენ სახელმწიფო მოხელეები, ასევე გამოთქმული იქნა უკმაყოფილება „წიაღის შესახებ“ კანონის მიმართ.

გამოკითხვის შედეგებიდან გამოვლინდა, რომ ჯერ-ჯერობით არცერთ მეწარმეზე კონტროლი სალიცენზიო პირობების შესრულებაზე არ განხორციელებულა. რამოდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ლიცენზიის მიღებისას გეოლოგის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა გააფრთხილეს, რომ კონტროლი განხორციელდებოდა წელიწადში 1-2 -ჯერ.

გამოკითხვის შედეგებმა ცხადყო, რომ ყველა მეწარმე ახდენს სამუშაოთა რეგისტრაციას წიაღის შესახებ ერთიან სახელმწიფო საინფორმაციო ფონდში და ასევე აბარებს განხორციელებული სამუშაოების შესახებ ანგარიშს.

## შარმოჩენილი პროგლომები და გადაჭრის გზები

1) „გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ“ კანონის მიხედვით სალიცენზიონ პირობების შესრულებაზე კონტროლი ხორციელდება დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ გამოცემული ადმინისტრაციული ოქტის საფუძველზე, რაც ეწინააღმდეგება „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ კანონს“, რომლის მიხედვით სალიცენზიონ პირობების კონტროლი უნდა ხორციელდებოდეს სასამართლოს ბრძანების საფუძველზე.

დეპარტამენტის პოზიციით, ეს ორი კანონი არ მოდის წინააღმდეგობაში ერთმანეთთან, რადგან „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით სამეწარმეო საქმიანობის კონტროლი არ არის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მიზნით გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ განხორციელებული საქმიანობა.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ გეოლოგიის დეპარტამენტი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შემადგენლობაში შევიდა 2004 წლის ოქტომბერში მთავრობის შესახებ მიღებული კანონით, მანამდე იგი არსებობდა სახელმწიფო დეპარტამენტის ფორმით. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტსაც, რომ „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში ჩადებული დებულება არ ეხება გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ განხორციელებულ კონტროლს მეწარმეებზე სალიცენზიონ პირობებთან დაკავშირებით.

გოლოგიის დეპარტამენტის განცხადებით: გეოლოგიური სამუშაოების კონტროლი არ არის სამეწარმეო საქმიანობის კონტროლი. აღნიშნული განმარტება ლოგიკას მოკლებულია, ვინაიდან მეწარმე, რომელსაც გააჩნია ლიცენზია და ეწევა გეოლოგიურ საქმიანობას მოგების მიზნით, მისი კონტროლი გეოლოგიური სამუშაოების განხორციელებაზე არის იგივე სამეწარმეო საქმიანობის კონტროლი, რაც უნდა ხორციელდება „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ კანონის შესაბამისად იმ ყველა დებულებათა დაცვით, რაც განკუთვნილია სამეწარმეო სექტორისთვის.

„სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ კანონით კონტროლად არ ითვლება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ განხორციელებული შემოწმება გარემოს დაცვასთან დაკავშირებით. ლიცენზირებული გეოლოგიური საქმიანობა არ უკავშირდება უშუალოდ გარემოს დაცვის საკითხებს, ეს არის საქმიანობა, რომელიც ხორციელდება სამეწარმეო საქმიანობის მიზნით და არ ექცევა გარემოს დაცვის ფარგლებში. „წიაღის შესახებ“ კანონში მოცემული კონტროლის უფლება ეწინააღმდეგება „სამეწარმე საქმიანობის კონტროლის შესახებ“ კანონს და არ შეიძლება მისი გამოყენება.

სახელმწიფო ახორციელებს სფეროში მეწარმეთა ლიცენზირებას იმისთვის, რომ კანონის საფუძველზე დამატებითი ადმინისტრაციული ბარიერი შეუქმნას სალიცენზიონ საქმიანობის დამწყებ მეწარმეებს, რათა ყველა მსურველს არ

მიეცეს უფლება განახორციელოს აღნიშნული საქმიანობა. სახელმწიფო იტოვებს უფლებას გააკონტროლოს („სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ კანონის დებულებების შესაბამისად) მათ მიერ სალიცენზიო პირობების შესრულება.

კალების შედეგად აღმოჩდა, რომ გეოლოგიის დაპარტამენტი საერთოდ არ არის რეგისტრირებული გეოლოგიური საქმიანობის სფეროში ლიცენზირებულ მეწარმეთა მაპროცენტულებად (მაპროცენტოლებალ რეგაციონის სახელმწიფო რეგისტრი, რომელსაც იუსტიციის სამინისტრო აღარმოგას), შესაბამისად გეოლოგიის დაპარტამენტი არა აჯგს უფლება კონტროლი განახორციელოს სალიცენზიო პირობების შესრულებაზე.

ასევე აღსანიშნავია, რომ თუ „გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ“ კანონის მიღებამდე გეოლოგიური სამუშაოების კონტროლი ხორციელდებოდა სალიცენზიო პირობების კონტროლის ანალოგიურად, მაშინ რა საჭირო იყო სფეროს ლიცენზირება?

გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ კანონმდებლობის ამგვარი უხეში ინტერპრეტაცია სცილდება მის კომპეტენციას და წარმოადგენს თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტების მცდელობას, რაც არ შეიძლება ამაზე რეაგირების უფლების მქონე სახელმწიფო ორგანოების ყურედღების მიღმა დარჩეს.

2) „წიაღის შესახებ“ კანონის მიხედვით წიაღის გეოლოგიური, საინჟინრო გეოლოგიური შესწავლის სამუშაოები ექვემდებარება დაბეგვრას.

ზემოთ ხსენებულ დაბეგვრას არ ითვალისწინებს საგადასახადო კოდექსი და დღეს მოქმედი არც ერთი სხვა კანონი „წიაღის შესახებ“ კანონის გარდა, შესაბამისად ამ პუნქტის შესრულებაში მოყვანა შეუძლებელია.

უდავოა, რომ „წიაღის შესახებ“ კანონი მოძველებულია და საჭიროებს გადასინჯვას.

3) „საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სამთავრობო დაწესებულებების სისტემაში ავტონიმიური რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებებისთვის ლიცენზიებისა და ნებართვების გადაცემის უფებამოსილების გადაცემის წესის შესახებ“ 2003 წლის 29 სექტემბრის №472 ბრძანებულების მიხედვით ისეთ ლიცენზიის მაძიებელზე, რომელიც რეგისტრირებულია ავტონიმიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე და ლიცენზირებას დაქვემდებარებულ გეოლოგიურ საქმიანობას ახორციელებს ამავე ტერიტორიაზე, ლიცენზიას გასცემს გეოლოგიის დეპარტამენტის სისტემაში შემავალი ავტონიმიური რესპუბლიკის შესაბამისი დეპარტამენტი. ამ უფლებამოსილების გადაცემა ხორციელდება საქართველოს შესაბამისი სამინისტროს სამთავრობო დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანებით, გეოლოგიის დეპარტამენტს ასეთი უფლებამოსილება ავტონიმიური რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტროსთვის არ გადაუცია.

გეოლოგიის დეპარტამენტის განმარტებით მან არ განახორციელა ეს, რადგან შესაბამისი სამინისტრო თვითონ ეწევა სამეწარმეო საქმიანობას და საჭიროებს ლიცენზირებას სხვა სამეწარმეო სუბიექტთა მსგავსად.

დეპარტამენტის პოზიციით, ასეთი უფლებამოსილების ავტონიმიური რესპუბლიკის შესაბამისი სახელმწიფო უწყებისთვის გადაცემა არ შედის მეწარმის ინტერესებში, რამდენადაც გეოლოგის დეპარტამენტის აჭარის

შესაბამისი უწყების მიერ გაცემული ლიცენზიის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ აჭარის ტერიტორიაზე, განსხვავებით გეოლოგიის საელმწიფო დეპარტამენტის მიერ გაცემული ლიცენზიისგან, რომელიც მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. თუ აჭარის ტერიტორიაზე გაცემული ლიცენზიის მფლობელი მოინდომებს ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობა განახორციელოს საქართველოს სხვა ტერიტორიაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის გარდა, მაშინ მას მოუწევს იგივე საქმიანობაზე მეორე ლიცენზიის აღება გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტში.

ზემოთ სერიული ფაქტი გეოლოგიის დეპარტამენტის მხრიდან კანონდარღვევას წარმოადგენს. ყოვლად უსაფუძვლოა დეპარატამენტის მოქმედება თუ უმოქმედობა ეფუძნებოდეს პირად მოსაზრებებსა და დაუსაბუთებელ ფაქტებს. გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზიის გაცემის უფლებამოსილება დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამის დაწესებულებას.

5) წესები, სტანდარტები და მოთხოვნები, რომელთა დაცვაც გეოლოგიური საქმიანობის სალიცენზიონ პირობას წარმოადგენს, შემუშავებულია საბჭოთა სისტემის დროს და არის რუსულ ენაზე, რაც ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობას ეწინაღმდეგება, დეპარტამენტის მხრიდან მათი დაცვის მოთხოვნა ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული.

ამ სტანდარტების მოქმედებისა და დაწერის ენის მიმართ უკმაყოფილებას გამოთქვამს სამეწარმეო სექტორიც.

გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს ახალი სტანდარტების შემუშავება.

6) „გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ“ კანონში არ არის მითითებულ გეოლოგიური საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო ტექნიკურ საშუალებათა ჩამონათვალი. შესაბამისად ლიცენზია უნდა მიეცეს ნებისმიერი ტექნიკური საშუალებების მქონე ორგანიზაციას.

კანონის ამ მოთხოვნას არ იზიარებს გეოლოგიის დეპარტამენტი. მისი განმარტებით ტექნიკური საშუალებები უნდა ექცეოდეს გარკვეულ ნორმატივებში. ეს დაუშვებელია, რადგან „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ კანონი“ კრძალავს ისეთი დამატებითი სალიცენზიონ პირობების შემოღებას, რომელიც არ არის განსაზღვრული კანონით.

საჭიროა მოხდეს აუცილებელ ტექნიკურ საშუალებათა დაკონკრეტება და განსაზღვრა კანონით.

7) სააქციო საზოგადოება „საქართველოს გეოლოგიისა და სამთო საქმის ეროვნული კომპანიის“ ფილიალებს აღებული აქვთ გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზიები. ლიცენზია გაიცემა სამეურნეო სუბიექტზე, ანუ ორგანიზაციაზე და არა ობიექტზე, ანუ ტერიტორიულად სხვაგან განთავსებულ ქადაგებულებებზე, შესაბამისად გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზია უნდა მიეღო სათაო ოფისს, ხოლო მის ფილიალებს ავტომატურად მიენიჭებოდათ საქმიანობის უფლება.

აუცილებელია ამ პრობლემის მოგვარება და გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზიების სათაო ოფისისთვის გადაცემა.

## რეზიუმე

ზემოთ განხილული საკითხებით ჩვენ შევეცადეთ აგვესახა გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზიის მიღებასა და ფლობასთან დაკავშირებული სურათი, თუმცა შესაძლოა ეს სურათი არ იყოს სრულიად ამომწურავი, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, მაგრამ ის ასახავს პრობლემებს, რომლის წინაშე დგანან გეოლოგიური საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციები და სახელმწიფო ორგანოები. ეს პრობლემები მოითხოვს აუცილებელ გადაწყვეტას როგორც საკანონმდებლო სისტემის მოწესრიგების, ასევე კანონის მოთხოვნათა განუხერელი აღრულების დონეზე. ეს კი ჩვენი მხრიდან შემდგომი კცლევების, მონიტორინგის, სათანადო რეკომენდაციების შემუშავებისა და მათი აქტიური მხარდაჭერის საგანი უნდა გახდეს.